ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

5 აპრილიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



სამშაბათი, 5 აპრილი, 2016 №80 (7006) ფასი: 50 თეთრი

# თამარ ჩუგოშვილი თუ ირაკლი ღარიბაშვილი



გვ.2

## ვინ იქნება პარლამენტის ახალი სპიკერი





ნაციონალები წინასაარჩევნოდ კოალიციას შექმნიან?

## სამივლინებო ხარჯებით თბილისის მერია საგარეო საქმეთა სამინისტროს დაეწია



როდესაც სადმე მიწვევით მიდიხარ, მაშინ გზის, ან სასტუმროს ხარჯებს მიმწვევი მხარე ფარავს. მერიის თანამშრომლების შემთხვევაში კი ყველა ხარჯი ბიუჯეტმა დაფარა.



გვ.4

„საქართველომ კავკასიის სამშვიდობო ლეგიონის შექმნაზე უნდა იზრუნოს“

## ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება კავკასიის ტერიტორიაზე გადმოვიდა“




გვ.3

## ლევან ალაფიშვილი: „მყიფე უმრავლესობით მთავრობის ფუნქციონირება რთულია“



გვ.5




გვ.6

## მეტროპოლიტენის თანამშრომლები 8 აპრილს მეტროს პარალიზებით იმუქრებიან



გვ.2

## ირაკლი სესიაშვილი: „ყარაბაღის კონფლიქტში მედიატორები ვერ ვიქნებით“

„აზერბაიჯანსა და სომხეთს შეუძლიათ თბილისში შეხვდნენ ერთმანეთს“

ISSN 1987-9385

## ბანკის კლიენტმა მილიონი დაკარგა?

ბანკი რესპუბლიკა: „არც ერთ კლიენტს ბანკისთვის არ მოუმართავს საჩივრით მათ ანგარიშზე ამგვარი უჩვეულო ოპერაციის შესახებ“



გვ.6

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თამარ ჩუგოშვილი თუ ირაკლი ღარიბაშვილი

## ვინ იქნება პარლამენტის ახალი სპიკერი

შორენა მარსაგიშვილი







„ქართულ ოცნებასთან“ რესპუბლიკელების განქორწინების შემდეგ ხმა გავარდა, რომ ისინი ნაციონალებთან ერთად შექმნიდნენ ალიანსს. ეს ინფორმაცია ყოფილმა ხელისუფლებამაც უარყო და რესპუბლიკურმა პარტიამაც. თუმცა გიორგი ბარამიძემ ისეთი განცხადება გააკეთა, ერი კიდევ ერთხელ ალაპარაკდა ამ თემაზე.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა არ გამორიცხა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ წინასაარჩევნოდ კოალიცია შექმნას. არადა აქამდე ამტკიცებდნენ, რომ ნაციონალები არჩევნებში დამოუკიდებლად აპირებდნენ მონაწილეობის მიღებას.

ნაციონალებმა კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით ინფორმაცია ბარამიძის განცხადების შემდეგაც უარყვეს.

ვიცე-სპიკერმა თავი ვალდებულად ჩათვალა, განმარტებები გაეკეთებინა.

ბარამიძე ამბობს, რომ მან მედიასთან საუბარში თავისი პირადი მოსაზრებები გააჟღერა. საბოლოო გადაწყვეტილებას კი პოლიტსაბჭო მიიღებს, რომელსაც ჯერ ამ საკითხზე არ უმსჯელია.

– ამ თემაზე საბჭოს არც უმსჯელია. მე მკითხეს, გამორიცხავთ თუ არა კოალიციის შექმნასო, რაზეც პერსონალურად განვაცხადე, რომ ასეთ ვითარებაში არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა, როცა პარტიის პოზიციაზეა საუბარი, გასაგებად ვთქვი, რომ პარტიას არ უმსჯელია და გადაწყვეტილებაც მიღებული არ არის, – უთხრა ნიუპოსტს გიორგი ბარამიძემ.

კითხვაზე, რომელ პოლიტიკურ პარტიასთან შექმნიდა კოალიციას და იქნებოდნენ თუ არა მათ შორის კოალიციიდან წამოსული რესპუბლიკელები და ფორუმი, უმცირესობის წევრმა პასუხის გაცემა არ ისურვა.

– ამ თითიდან გამოწოვილი გაუგებრობის ფონზე, ამ საკითხზე კომენტარს არ გავაკეთებ, რადგან შემდეგ ჟურნალისტები დაიწყებთ მსჯელობას, იმასთან იწყებს მუშაობას და ამასთან შექმნის კოალიციასო. პარტიას მიღებული არ აქვს არანაირი გადაწყვეტილება, მეტიც, არაფერზე გვიმსჯელია. რაც შეეხება თანამშრომლობას, ჩვენ პარლამენტში ვთანამშრომლობთ ამ ადამიანებთან სხვადასხვა კანონპროექტებთან დაკავშირებით და ვაპირებთ თანამშრომლობას თუნდაც საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, – აღნიშნა დეპუტატმა.

ვინმესთან კოალიციის შექმნას არც ეროვნული ფორუმი აპირებს.

ფორუმმა გუშინ, 4 აპრილს, საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა. მიმავლებმა განაცხადეს, არჩევნებზე დამოუკიდებლად ვიყრით კენჭს და ჩვენი სიის პირველი ნომერი კახა შარტავა იქნებაო.

დამოუკიდებლად აპირებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკელებიც. ამ დროისთვის დავით ბერძენიშვილი ნამეტანი იმედიანად არის განწყობილი და აცხადებს, რომ ისინი იმ პარტიას წარმოადგენენ, ვისაც კომუნისტებმაც კი ვერაფერი დააკლეს, ამიტომაც მათ გადაკიდებას არავის ურჩევს.

იმედიანი განწყობაა პარტია „ქართულ ოცნებაშიც“. ისინი იმდენად იმედიანად არიან განწყობილი, რომ მომავალი პარლამენტის სპიკერსაც კი ეძებენ.

ცოტა ხნის წინ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ სიაში საიას ყოფილი თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი მოხვდებოდა. მაშინ მეოცნებეებმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს. ახლა კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ ის, შესაძლოა, პარლამენტის სპიკერად წარადგინონ.

„ტვ პირველის“ ინფორმაციით, მის გარდა ამ პოსტზე თეა წულუკიანის კანდიდატურაც მოიაზრება. სპიკერობას თუ ვერ შეწვდებიან, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეობა მაინც ექნებათ გარანტირებული.

„ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რომ „ქართული ოცნება“ საარჩევნო სიას ხელახლა წერს. თავიდან ამ სიის შედგენა კახა კალაძეს დაევალა. მასაც შეუდგენია, მაგრამ ივანიშვილმა დაიწუნა. როგორც „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, ახლა სიას გიორგი კვირიკაშვილი შეადგენს, რომელსაც პარტიის თავმჯდომარედ 14 მაისს წარადგენენ.

საარჩევნო სიის შედგენაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ბიძინა ივანიშვილიც. რამდენიმე კაცის ჩაწერის უფლებით კახა კალაძეც ისარგებლებს. ის არ გამორიცხავს, რომ სიაში რამდენიმე სპორტსმენი მოხვდეს. ვიცე-პრემიერი ამბობს, რომ მთავარი კრიტერიუმი სუფთა პოლიტიკური წარსული იქნება.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ოცნების“ სიაში მოსახვედრად მარტო სუფთა წარსული არ იქნება საჭირო. იმისთვის, რომ ივანიშვილის გუნდის წევრი გახდე, სუფთად უნდა იცოდე ინგლისური.

ინგლისური ენის ცოდნის აუცილებლობაზე გასულ წელს ბიძინა ივანიშვილიც საუბრობდა. ახლა ეს აუცილებელი პირობა ყოფილა. ჩვენი დეპუტატები კანონების წერაში ღმერთს არ უქნია და, ეტყობა, შექსპირის სონეტები უნდა თარგმნონ ორიგინალიდან.

„ტვ პირველის“ ინფორმაციით, „ოცნების“ საარჩევნო სიაში მოქმედი დეპუტატებიდან მხოლოდ 17 კაცი მოხვდება. მომავალ დეპუტატებს თურმე ტესტირებებს უტარებენ.

საარჩევნო სიაში რამდენიმე მინისტრსაც უპირებენ ჩასმას. მათ შორის არიან დავით სერგეენკო და კახა კალაძე. შესაძლოა, მათი ბედი სოზარ სუბარმაც გაიზიაროს.

„ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებულმა პირმა „ახალ თაობასთან“ საუბარში ისიც განაცხადა, რომ სიაში შესაძლოა დავით ნარმანიაც ვიხილოთ.

ამ თემაზე რამდენიმე თვეა საუბრობენ. თავიდან ნარმანიამ ეს ინფორმაცია თითქმის დაადასტურა, მოგვიანებით კი უარყო. „ქართულ ოცნებაში“ კი მერის რიგგარეშე არჩევნებისთვის ემზადებიან, რომელიც, სავარაუდოდ, საპარლამენტოსთან ერთად ჩატარდება.

რესპუბლიკელების და ფორუმის მიტოვებულ „ქართულ ოცნებაში“ ირაკლი ღარიბაშვილის შესაძლო დაბრუნებაზეც საუბრობენ.

როგორც მეოცნებეები ამბობენ, ის ან საკუთარი პარტიით შევა პოლიტიკაში, ანდა პარლამენტის სპიკერად იქნება წარდგენილი.

### ნაციონალები წინასაარჩევნოდ კოალიციას შექმნიან?

# ირაკლი სესიაშვილი: „ყარაბაღის კონფლიქტში მედიატორები ვერ ვიქნებით“

## „აზერბაიჯანსა და სომხეთს შეუძლიათ თბილისში შეხვდნენ ერთმანეთს“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობა“ მთიან ყარაბაღში მიმდინარე პროცესებზე პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილს** ესაუბრა.

***– ბატონო ირაკლი, როგორია თქვენი შეფასებები? ჩვენს მეზობელ ქვეყნებში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა, რამდენად არის საფრთხე, რომ ეს პროცესი ჩვენს ქვეყანაზეც აისახოს?***

– ჩვენს სამეზობლოში სიტუაციის ესკალირება გვაშფოთებს. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მოვლენებს, სხვადასხვა სცენარების ანალიზსაც ვაკეთებთ, რომ ჩვენი ქვეყნის როლი დავინახოთ, რათა ჩვენი ქვეყნის მიმართ წარმოქმნილი გამოწვევები თუ საფრთხეები კარგად გავაანალიზოთ. ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით მოხდება სიტუაციის დეესკალაცია და დაუბრუნდება ჩვენი რეგიონი სტაბილურ მოცემულობას.

***– რა სცენარზეა საუბარი და რა როლი ეკისრება ჩვენს ქვეყანას?***

– არ მგონია, სწორი იყოს, რომ ჩვენ ამაზე ღიად ვისაუბროთ. მე უბრალოდ მოსახლეობის გასაგონად ვამბობ, რომ გუშინ პრემიერ-მინისტრთან შეკრებილნი იყვნენ ძალოვანი უწყებების, ასევე პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების წარმომადგენლები. ჩვენ ვიმსჯელეთ შექმნილ სიტუაციაზე, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რას აკეთებს ამ დროს ქვეყნის მთავრობა.

***– და რას აკეთებს?***

– მე ამ თემაზე პოლიტიკოსების განცხადებაც მოვისმინე. ჩვენ ვაკვირდებით პროცესებს, ვართ კავშირზე როგორც აზერბაიჯანთან, ისე სომხეთთან, იმისთვის, რომ ზუსტი ინფორმაცია გვქონდეს. დიდი ყურადღებით მივყვებით პროცესებს და ჩვენს სამომავლო გეგმებზეც ვფიქრობთ.

***– თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ მედიატორის როლი უნდა იკისროს ქართულმა მხარემ. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ასეთი ფორმით არ არის ეს ნათქვამი. ჩვენ კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაქვს სომხეთთანაც და აზერბაიჯანთანაც. თუ სურვილი ექნებათ მხარეებს, ჩვენ მზად ვართ, თბილისი დავუთმოთ მათ იმისთვის, რომ ერთმანეთს დაელაპარაკონ. აქ საუბარია მხოლოდ შესაძლებლობაზე და არა იმაზე, რომ ჩვენ მედიატორის როლი უნდა ვიკისროთ.

***– აქ საუბარია იმაზე, თუკი მხარეებს ამის სურვილი ექნებათ?***

– რასაკვირველია. თუკი მათ სურვილი ექნებათ, ჩვენ ამისთვის მზად ვართ. არაერთხელ ყოფილა, რომ საქართველოში ჩვენი მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლები შეხვედრილან და უსაუბრიათ. ასე რომ, ამ მწვავე ვითარებაში, როგორც ორივე მეზობლის კეთილმოსურნეს, ბუნებრივი ამბავია, რომ შესთავაზო ეს შესაძლებლობა. ამაზეა საუბარი და არა იმაზე, რომ ჩვენ მედიატორის როლი უნდა ვიკისროთ.

***– ვინ უნდა იკისროს მედიატორის როლი?***

– აქ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რომ საერთაშორისო საზოგადოება ჩაერთოს, ეს უფრო მეტი გარანტია იქნებოდა. ჩვენი ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ რეგიონში იყოს მშვიდობა და სტაბილურობა.

***– დღევანდელი მონაცემებით, მხარეები კომპრომისზე არ მიდიან, რამდენად იქნება შესაძლებელი სიტუაციის დასტაბილურება?***

– საზოგადოებამ ნახა, რომ შაბათ-კვირა დაემთხვა სიტუაციის ესკალირებას, ორშაბათიდან საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად აკვირდება პროცესებს. დარწმუნებული ვარ, რომ მათი მონაწილეობა უფრო გააქტიურდება. ასევე ვხედავთ, რომ დაინტერესებული მხარეები უკვე არიან კავშირზე. როგორც ვიცი, უახლოეს დღეებში დაგეგმილია სომხეთის და აზერბაიჯანის მხარეების შეხვედრა ვენაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ სიტუაცია დეესკალაციისკენ წავა.

***– რატომ მოხდა მაინცდამაინც ამ პერიოდში სიტუაციის გამწვავება? საუბარია, რომ ეს არ არის მხოლოდ სომხეთისა და აზერბაიჯანის ომი, რომ აქ რუსეთისა და თურქეთის ინტერესები იკვეთება. ასეა?***

– მე მინდა, რომ საზოგადოებამ, თქვენმა მკითხველმა, სწორად გამიგოს. ჩვენ ვართ ერთი რეგიონის მეზობლები და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან არასწორმა ანალიზმა შეიძლება ერთი ან მეორე მხარის გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვიოს.

***– აქედან გამომდინარე გაგიჭირდებათ ჩვენს კითხვაზე კომენტარი?***

– ამიტომ ასეთი შეფასებებისგან და ჩემი ანალიზისგან თავს შევიკავებ. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ დეესკალაცია მოხდეს, მშვიდობა იყოს, სტაბილურობა იყოს და მზად ვართ კიდეც, თუ მხარეები საჭიროდ ჩათვლიან, ამ პროცესში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. დანარჩენს უკვე მოვლენები გვაჩვენებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება კავკასიის ტერიტორიაზე გადმოვიდა“

## „საქართველომ კავკასიის სამშვიდობო ლეგიონის შექმნაზე უნდა იზრუნოს“

შორენა მარსაგიშვილი

რა პრობლემები შეიძლება შეექმნას საქართველოს ყარაბაღის კონფლიქტით, რა პროექტების ჩაშლას აპირებს რუსეთი, რატომ არის აუცილებელი ცვლილებები ქართულ არმიაში? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი, ანალიტიკოსი ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

**ზაალ კასრელიშვილი:**

— ის, რაც დღეს ყარაბაღში ხდება, მოსალოდნელი იყო. ჩვენ ვამბობდით, მათ შორის თქვენი გაზეთის საშუალებითაც, რომ რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი სირიიდან კავკასიაში გადმოინაცვლებდა. სამწუხაროდ, ჩვენი პროგნოზი ამჯერადაც გამართლდა და ყველანი გაყინული კონფლიქტის განახლების მომსწრენი გავხდით.

ყველასთვის ცნობილი ამბავია, რომ სომხეთი რუსეთის მხარდაჭერით სარგებლობს. ამ კონფლიქტამდე ცოტა ხნით ადრე, ბაქოში ილხამ ალიევთან შესახვედრად ჩავიდა თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი. მისი ვიზიტის შემდეგ ალიევი ჯერ ევროპაში წავიდა, შემდეგ კი — ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენი აზრით, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ამ ნაბიჯებმა მოსკოვის გაღიზიანება გამოიწვია და მივიღეთ ის სურათი, რაც დღეს გვაქვს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს კონფლიქტი რუსეთის ჩარევით და აზერბაიჯანის დასასჯელად განახლდა?***

— შესაძლოა, მთლად ასე არ არის და ჩვენ რაღაც გვეშლება, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვართ, რომ ყარაბაღის შეიარაღებული ძალები საკუთარი ინიციატივით ამდენს ვერ გაბედავდნენ. ისინი, სავარაუდოდ, მოსკოვის მითითებით მოქმედებენ.

აზერბაიჯანის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ახლა უკან ვეღარ დაიხევს. მის ინტერესებში ყარაბაღის მთელი ტერიტორია არ შედის. ბაქო ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიებს იბრუნებს. ჩვენ გვინდა გვჯეროდეს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ჩაერევა და ამ კონფლიქტის გეოგრაფიული მასშტაბი არ გაიზრდება.

თავი და თავი ამ კონფლიქტისა არის ნავთობსადენი. აზერბაიჯანი ცეცხლის ალში თუ გაეხვევა, ბაქო-ჯეიჰანის პროექტი შეჩერდება. ასევე შეჩერდება გაზსადენის პროექტი, რომელმაც საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე უნდა გაიაროს. ამ გაზსადენის პროექტით, ევროპა შუა აზიიდან რუსეთის გვერდის ავლით მიიღებს ბუნებრივ აირს. პროექტის ჩაშლის შემთხვევაში ევროპა იძულებული იქნება, ისევ გაზპრომის გაზზე ჩამოეკიდოს.

რუსეთს ეს მიზნები აქვს, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ეს კონფლიქტი მოსკოვმა დასავლეთთან სავაჭროდ გამოიყენოს. მან სირიის კონფლიქტით კარგად ივაჭრა და დასავლეთს თავი, როგორც საჭირო და შეძლებულმა პარტნიორმა, ისე აჩვენა.

***— ნავთობსადენი ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენის მონაკვეთი დაცულია დივერსიისაგან?***

— ახლა არავინ და არაფერია დაცული. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ისიც გავიხსენოთ, რომ რუსები ამ ნავთობსადენთან ძალიან ახლოს არიან.

***— საქართველოში ცხოვრობენ როგორც სომხები, ასევე აზერბაიჯანელები. ყარაბაღის კონფლიქტის განახლება რაიმე ეთნიკურ კონფლიქტებს ხომ არ გამოიწვევს?***



— არაფერი გამორიცხული არ არის. მე მარტო სომხეთსა და აზერბაიჯანზე არ გავამახვილებდი ყურადღებას. ჩვენი ქვეყანა არის კონფლიქტების რკალში. ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიზანული ომი მიდის და კიდევ უფრო გააქტიურდება ეს პროცესები. თურქეთში და აღმოსავლეთში რაც ხდება, ყველა კარგად ხედავთ. ჩვენ გარშემო ყველგან ცეცხლი ანთია და ომია. ყველა მათგანისთვის სასურველი დერეფანია ბაქო-ფოთი. ძალები, რომლებიც ამ კონფლიქტებში გაძლიერდებიან, შეეცდებიან, ეს დერეფანი გავლენის ქვეშ მოაქციონ. ამისთვის ისინი ყველა მეთოდს გამოიყენებენ.

***— რა საშუალებები და მეთოდები შეიძლება იქნას გამოყენებული?***

— ამის თქმა გამიჭირდება. ომში დაწინაურებული და გაძლიერებული ძალები მეთოდებს არ დაგიდევენ. მათთვის მთავარია შედეგზე გასვლა.

***— საქართველოზე გავლენის მოხდენის ყველაზე მეტი შანსები ვის აქვს?***

— შანსი ყველას აქვს. სამწუხაროდ, თითქმის ყველა ჩვენს მეზობელს აქვს საქართველოზე გავლენის მოსახდენად ბერკეტი.

***— ჩვენ არ გვაქვს ბერკეტები რომ სხვებზე მოვახდინოთ გავლენა?***

— საქართველოს ძალიან დიდი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ ხელისუფლება არ იყენებს ამას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კონფლიქტებით გარშემორტყმულ ქვეყანას არ გააჩნია ეთნო-რეგიონალური პოლიტიკა. ასევე არ არსებობს კავკასიური პოლიტიკის კონცეფცია. საქართველოში არ არსებობს ერთიანი მექანიზმი, რომელიც ომამდე ან ომის დროს კავკასიელებთან შუამავლების გარეშე დიალოგის საშუალებას მოგვცემდა.

***— არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კონფლიქტში ჩვენც აღმოვჩნდეთ ჩართულები?***

— ამას ვერ გავექცევით. ეს კონფლიქტი რაღაცა ფორმით ჩვენ აუცილებლად შეგვეხება. მე არ ვიცი, ეს ეკონომიკური საკითხი იქნება თუ ფიზიკური გამოვლინება. ამ პროგნოზს მხოლოდ იმიტომ ვერ ვაკეთებთ, რომ არ ვიცით, სინამდვილეში რა უნდა რუსეთს. მათ შესაძლოა ეს კონფლიქტი სავაჭროდ გამოიყენონ, შესაძლოა, მასში მთლიანად ჩაერთონ. მოსკოვი ცდილობს, თურქეთთან კონფლიქტი რამენაირად კავკასიაში გადმოატაროს. ამ მიზანს ნაწილობრივ მიაღწია და ახლა არ გაჩერდება. კავკასიაში ფრონტის გახსნა მისთვის ორმაგად მომგებიანია.

***— ორმაგად მომგებიანი რატომ?***

— კონფლიქტი თუ კავკასიაში გადმოვა, რეგიონის ხელმძღვანელობებს დასავლეთისკენ ლტოლვის დრო და საშუალება აღარ ექნებათ და აღარც დასავლეთი მოინდომებს ჩვენთვის კარის გაღებას. მათ სირიელი ლტოლვილების გამო ისედაც სერიოზული პრობლემები შეექმნათ და კონფლიქტური რეგიონების ევროსტრუქტურებში მიღებას არ დააჩქარებენ. რუსეთი ცდილობს, ყველაფრიდან სარგებელი მიიღოს.

***— ჩვენ რა უნდა ვქნათ, ვიდგეთ და ვუყუროთ?***

— საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და ბაქოს და ერევანს შუამავლობა შესთავაზოს.

***— საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამის შესახებ განცხადებები უკვე გააკეთეს.***

— ეს განცხადებები საკმარისი არ არის. მთავარია პოლიტიკური ნება. ეს საქართველოს საშუალებას მისცემს, საერთაშორისო საზოგადოებას ჩვენი შესაძლებლობები დავანახოთ. კავკასიის რეგიონში ნამდვილად შეგვიძლია ლიდერის ფუნქციის შესრულება. აუცილებლად უნდა ვიყოთ შუამავლები, თორემ ეს ომი შესაძლოა ჩვენთან მოვიდეს.

***— ომისთვის უნდა ვემზადოთ?***

— მსოფლიოში დაწყებულია ახალი გადანაწილების პროცესი. ამ დროს ჩვენ ყოველთვის და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

***— ომისთვისაც?***

— ომისთვის სულ მუდამ მზად უნდა ვიყოთ. სხვა თუ არაფერი, მშვიდობა თუ გინდა, ომისთვისაც უნდა იყო მზად. უკვე დროა, ქართულ არმიასაც შეემატოს ახალი ელემენტები. საუბარია იმ ელემენტებზე, რომლებიც ქართულ არმიას გააძლიერებს და ეს იქნება როგორც ქართული, ასევე კავკასიური.

ადრეც არაერთხელ ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ: დროა, საქართველომ კავკასიის სამშვიდობო ლეგიონის შექმნაზე იზრუნოს. ეს ბევრ საკითხს ჩვენთვის სასიკეთოდ გადაწყვეტს.

# თინა ხიდაშელი: „ვინ წარადგენს თავდაცვის უწყებას ნატოს სამიტზე, ეს პრემიერის გადასაწყვეტია“



საქართველოს თავდაცვის მინისტრის, თინა ხიდაშელის განცხადებით, ის, თუ ვინ წარადგენს თავდაცვის უწყებას ნატოს ვარშავის სამიტზე, პრემიერის გადასაწყვეტია.

ამის შესახებ ხიდაშელმა თბილისში ნატოს კვირეულის გახსნის დაწყებამდე განაცხადა.

— ვინ წარადგენს თავდაცვის უწყებას ნატოს ვარშავის სამიტზე, ეს პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტია. მგონი ყველამ მოისმინეთ ამ თემაზე განცხადებები. ამ წუთის მდგომარეობით, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარ მე, — განაცხადა ხიდაშელმა.

შეგახსენებთ, რომ ,,რესპუბლიკური პარტიის“ გადაწყვეტილებით, პარტია არჩევნებში მონაწილეობას კოალიცია ,,ქართული ოცნებისგან“ დამოუკიდებლად მიიღებს, თუმცა მთავრობის ,,რესპუბლიკელი“ წევრები თანამდებობებს არ დატოვებენ.

**ნიუსპრესი**

# კახა კალაძე: „ახალ სახეებთან მიმართებაში აქცენტი სუფთა წარსულსა და პროფესიონალიზმზე გაკეთდება“



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ, პარტია „ქართულ ოცნებაში“ არსებულ ცვლილებებსა და პარტიის სამომავლო გეგმებზე კომენტარი გააკეთა.

როგორც კალაძემ აღნიშნა, პარტიაში გაწევრიანებულ ახალ სუბიექტებს საზოგადოებას უახლოეს დღეებში წარუდგენენ.

**კახა კალაძე:**

— აქცენტი, რა თქმა უნდა, სუფთა წარსულზე, განათლებასა და პროფესიონალიზმზე გაკეთდება. ზოგადად, როდესაც ახალი სისხლი, ახალი სახე მიდის პარტიაში, ეს მისასალმებელია. სადაც კონკურენცია მაღალია, შედეგიც მაღალია. ვფიქრობთ, იმ ადამიანების წარდგენა, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანდნენ, უახლოეს დღეებში დავიწყოთ.

მმართველი კოალიცია რამდენიმე დღის წინ პრაქტიკულად, დაიშალა და მასში შემავალი პოლიტიკური სუბიექტები, მათ შორის პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“, არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებენ.

**ნიუსპრესი**

# ზურაბ ჯაფარიძე: „შემიძლია დავიგინო, რომ „გირჩი“ უმრავლესობის რიგებს არ შეავსებს“

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არსებულ ვითარებას „ახალი პოლიტიკური ცენტრი-გირჩის“ თავმჯდომარე ზურაბ ჯაფარიძე აფასებს. როგორც ის ვარაუდობს, არჩევნებამდე უმრავლესობა ასეთი კონფიგურაციითაც ვერ მივა.

კითხვაზე, შეავსებს თუ არა უმრავლესობას ახალი პოლიტიკური ცენტრი, ჯაფარიძე პასუხობს, რომ არა.



— შემიძლია დავიფიცო, დავიგინო, რომ ასეთი რამ არ მოხდება. პარლამენტში სრული ქაოსია. უმრავლესობის შიგნითაც კაცმა არ იცის ვინ რას უჭერს მხარს და ვინ რას აკეთებს. რეალურად რღვევის პროცესს ვადევნებთ თვალყურს. ვფიქრობ, რომ ის კონფიგურაცია, რაც ახლაა, ისიც ვერ შენარჩუნდება და არჩევნებამდე ეს უმრავლესობა ასე ვერ მივა, — განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

მმართველი კოალიცია რამდენიმე დღის წინ პრაქტიკულად დაიშალა და მასში შემავალი პოლიტიკური სუბიექტები, მათ შორის პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებენ.

**ნიუსპრესი**

# გაეროს ელჩებმა საქართველოში რეფორმების პროგრესი დადებითად შეაფასეს



გაეროს დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტუალური საკითხები, ასევე მრავალმხრივი თანამშრომლობისა და ორმხრივი ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები განიხილა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ გაეროსთან აკრედიტებულ მუდმივ წარმომადგენლებთან სამუშაო ვახშამზე.

მიხეილ ჯანელიძესთან შეხვედრისას გაეროსთან აკრედიტებულმა ელჩებმა საქართველოში განხორციელებული ვიზიტი შეაჯამეს. მათ აღნიშნეს საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა სფეროში განხორციელებული რეფორმები და მიღწეული პროგრესი.

გაეროსთან აკრედიტებული ელჩების ვიზიტი საქართველოში 2016 წლის 28 მარტს დაიწყო. ვიზიტის ფარგლებში უცხოელმა დიპლომატებმა შეხვედრები გამართეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მოინახულეს იუსტიციის სახლი და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

გამართეს არაფორმალური შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან. ასევე ეწვივნენ საოკუპაციო ხაზს სოფელ დიდ ხურვალეთში და იძულებით გადაადგილებული პირების დასახლებას წეროვანში.

**ნიუსპრესი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სამივლინებო ხარჯებით თბილისის მერია საგარეო საქმეთა სამინისტროს დაეწია

შორენა მარსაგიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორმა“ დედაქალაქის მერიას ამჯერად სამივლინებო სახსრები დაუთვალა.

დავით ნარმანიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისმა კანტორამ ამ მიმართულებითაც გამოიჩინა თავი.

თავად ნარმანია საკმაოდ მოკრძალებული მოგზაური აღმოჩნდა და მხოლოდ ბრატისლავას შეავლო თვალი.

– ჩვენი კვლევა შარშანდელი წლის დეკემბერს, წლევანდელ იანვარსა და თებერვლის ნახევარს მოიცავს. 2,5 თვეში მერიამ მივლინებებში 50.000 ლარამდე დახარჯა. ამ მხრივ ნარმანიას უწყების ხარჯები საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯებს უტოლდება. საგარეო საქმეთა სამინისტრო იმის საგარეო საქმეთა სამინისტროა, რომ ქვეყნის გარეთ უნდა იარონ, მაგრამ მერიის წარმომადგენლები რატომ დადიან ამდენს, ვერ აგვიხსნია, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში „მედიატორის“ წარმომადგენელმა მარიამ ქელბაქიანმა.

მისი განცხადებით, ისინი დაინტერესდნენ, რა მიზანს ემსახურებოდა მერიის თანამშრომელთა ვოიაჟები ან რა სარგებელი მიიღო თბილისმა ამით.

– ამაზე არანაირი პასუხი არ მოგვწერეს. თბილისს რაიმე სარგებელი რომ მიეღო, სულ მცირე 50 დოკუმენტს მაინც გამოგვიგზავნიდნენ, – აღნიშნავს ქელბაქიანი.





ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად დადიან საზღვარგარეთ, მაგრამ ისინი ოფიციალური მიწვევებით ან რაიმე ფორუმებზე დასასწრებად მიდიან, ნარმანიას უწყების ხალხი კი ტურისტული მიზნებით იყო წასული.

– როდესაც სადმე მიწვევით მიდიხარ, მაშინ გზის, ან სასტუმროს ხარჯებს მიმწვევი მხარე ფარავს. მერიის თანამშრომლების შემთხვევაში კი ყველა ხარჯი ბიუჯეტმა დაფარა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნარმანიას თანამშრომლები საზღვარგარეთ გასართობად წავიდნენ, – მიაჩნია „მედიატორის“ წარმომადგენელს.

ყველაზე ძვირი დედაქალაქის ბიუჯეტს ვიცე-მერის, ნინა ხატისკაცის, ამერიკაში ვიზიტი დაუჯდა.

– ნინა ხატისკაცის, ნანა ადეიშვილის და ნანა არდელინის ვიზიტი ამერიკაში დაგვიჯდა 23.000. გარდა იმისა რომ მათი მგზავრობის და სასტუმროს ხარჯები ჩვენ ავანაზღაურეთ, ვიზის ფულის გადახდაც ჩვენ მოგვიწია. თითოეული მათგანის ვიზა 400 ლარი დაჯდა. ისინი ვაშინგტონსა და ატლანტაში იმყოფებოდნენ. დოკუმენტაციაში არ წერია, რა მიზნით იყვნენ ისინი ამერიკაში. იქედან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, რომ ყველა ხარჯი ბიუჯეტმა დაფარა – ისინი იქ არავის მიუწვევია, – აღნიშნავს ქელბაქიანი.

მისი ინფორმაციით, დედაქალაქის მოსახლეობას 6.000 ლარი დაუჯდა ირაკლი ჭინჭარაულის და რევაზ კოტრიკაძის ვოიაჟი.

– დარწმუნებული ვარ, აქამდე არავინ იცოდით, რომ ეს ადამიანები თბილისის მერიაში მუშაობდნენ. სამაგიეროდ, ისინი გავუშვით პარიზში და 6.000 ლარი გადავიხადეთ. საფრანგეთის დედაქალაქში მათ 3 დღე გაატარეს, მაგრამ არ ვიცით, რა მიზნით იმყოფებოდნენ იქ, – ამბობს „მედიატორის“ წარმოდგენილი.

მისივე ინფორმაციით, მალხაზ ჭამბურიძის და გიორგი გურგენიძის 3 დღიანი მივლინება გერმანიაში ბიუჯეტს 3.000 ლარი დაუჯდა.

მერიიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციებიდან ირკვევა, რომ ანა კერესელიძის პრაღული ვოიაჟი 2.400 ლარი დაჯდა.

ქელბაქიანი იმედოვნებს, რომ ადრე თუ გვიან მერია საზოგადოებას აუხსნის, რა მიზნებით დადიან მისი თანამშრომლები საზღვარგარეთ.

– ბიუჯეტის ფულით რომ დადიხარ, კეთილი უნდა ინებო და ხალხს ანგარიში ჩააბარო, – აღნიშნავს „მედიატორის“ წარმომადგენელი.

* * *

საზღვარგარეთული ვოიაჟებით მერიას არც დედაქალაქის საკრებულო ჩამოუვარდება.

– ისინიც ასე დადიან და ჩვენი ფულით მოგზაურობენ. გასულ წელს ნუგზარ მალაღურაძე და კიდევ 2 დეპუტატი რაგბის ტურნირზე ბიუჯეტის ხარჯზე წავიდნენ. მათი გართობა 30.000 ლარი დაჯდა. ამ ამბავმა ისე ჩაიარა, ვითომ არაფერი მომხდარა, – აცხადებს აღშფოთებული ქელბაქიანი.

ის ლილოს მაჟორიტარი დეპუტატის, გულიკო ზუმბაძის ვოიაჟსაც იხსენებს.

– მისი ვიზიტი ჩეხეთში ბიუჯეტს რამდენიმე ათასი ლარი დაუჯდა. ის იქ იმიტომ უნდა წასულიყო, რომ ლილოს მოსახლეობისთვის რაღაცა სიკეთე მოეტანა. არავინ არ იცის, რა სიკეთე მოუტანა ამ ვიზიტმა ლილოს. ადგილობრივი მოსახლეობა ნაგავსაყრელის პრობლემის მოგვარებას ითხოვს. ხელისუფლება მათ ამის მოგვარებას წელიწადნახევრის წინ დაჰპირდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა, – აღნიშნავს „მედიატორის“ წევრი.

მისი განცხადებით, როცა ეს ინფორმაცია გავრცელდა, გულიკო ზუმბაძე გაბრაზდა.

– თქვა, მარტო მე რას გადამეკიდნენ, სხვებიც დადიან მივლინებებში და სხვებსაც დაუთვალონ ხარჯებიო. ჩვენც ვითვლით ამ ხარჯებს და საზოგადოებას ეტაპობრივად ვაცნობთ, რაში იხარჯება ბიუჯეტის ფული, – განაცხადა მარიამ ქელბაქიანმა.

## გურჯაანის საკრებულოს წევრსა და გამგებელს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა



გურჯაანის საკრებულოს წევრ სიმონ ქოჩორაშვილსა და გამგებელ გია გერგიძეს შორის, საკრებულოს სხდომაზე სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. როგორც საკრებულოს წევრმა გია შაოშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, შელაპარაკება გამგეობის მიერ სხდომაზე ინიცირებულ საკითხზე გამგებლის მიერ ვეტოს დადებას მოჰყვა.

სიმონ ქოჩორაშვილმა განმარტა, რომ მან მუნიციპალიტეტის გამგებელი გია გერგიძე საკრებულოს დისკრედიტაციაში დაადანაშაულა, რასაც შელაპარაკება მოჰყვა.

– გურჯაანში მდებარე ერთ-ერთი შენობის პროფილის შეცვლის საკითხს ვიხილავდით, რომელიც საკრებულოში თავად გამგეობამ შემოიტანა, გერგიძემ კი ვეტო დაადო საკითხს, რომელსაც მხარი 35 დეპუტატიდან 34-მა დაუჭირა.

მას ჰქონდა უფლება საკითხი საკრებულოზე არ გამოეტანა და თავად მიეღო გადაწყვეტილება, თუმცა მე ვფიქრობ, რომ მან ეს მზაკვრობა საკრებულოს დისკრედიტაციის დემონსტრირებისთვის გამოიყენა, – აღნიშნა სიმონ ქოჩორაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## არსებული ინფორმაციით, შსს-ს გორის პოლიციის ექსპერტ-კრიმინალისტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა




არსებული ინფორმაციით, შსს-ს გორის პოლიციის ექსპერტ-კრიმინალისტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

გავრცელებული ცნობით, გარდაცვლილის ცხედარი ახლობლებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ წედისში ოჯახის კუთვნილ სახლში აღმოაჩინეს.

გარდაცვალების ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

## გურჯაანში უბედურ შემთხვევას ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა




გურჯაანის სოფელ ველისციხეში 33 წლის მამაკაცი დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა. შემთხვევა ერთ-ერთ ღვინის კომპანიაში მოხდა.

ახლობლების ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი ელექტროგადამცემ ტრანსფორმატორზე შესაკეთებლად ავიდა, რა დროსაც დენმა დაარტყა და დაიღუპა.

გარდაცვლილს ექსპერტიზა გურჯაანის ლევან სამხარაული სახელობის ექსპერტიზის ბიუროში ჩაუტარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

საქმეს გურჯაანის პოლიციის სამმართველო სწავლობს.

**ინტერპრესნიუსი**

## თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები 20 აპრილს გაიმართება



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები 2016 წლის 20 აპრილს გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თსუ-დან აცნობეს, შესაბამისი დადგენილება უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო. საბჭოს გადაწყვეტილებით, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია 2016 წლის 5 აპრილს 10.00 საათზე დაიწყება. რეგისტრაციის ბოლო ვადად 2016 წლის 14 აპრილის 18.00 საათი განისაზღვრა.

კენჭისყრის პროცედურა კი 2016 წლის 20 აპრილს 10.00 საათიდან 18.00 საათამდე გაიმართება. არჩევნების შედეგები არჩევნების დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში გამოცხადდება.

– რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი.

თითოეულ ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება, ანუ ხმას აძლევს მხოლოდ ერთ კანდიდატს. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებში გამარჯვებულად ცხადდება კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

თუ არჩევნებში გამოვლინდება ორი ან მეტი კანდიდატი თანაბარი ხმების ოდენობით, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღეში ჩატარდება არჩევნების მეორე ტური. მეორე ტურში გამარჯვებულად გამოცხადდება კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, – განმარტავენ თსუ-ში.

მათივე ინფორმაციით, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარებასა და საორგანიზაციო საკითხებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი კვირიკაშვილი: „ათ წელიწადში საქართველო თანამედროვე, დინამიკური ევროპული სახელმწიფო იქნება“



– ჩემი ვალდებულებაა ქვეყნის წინსვლის უზრუნველყოფა. მთავრობის მიზანია საქართველოს ყველა მოქალაქისთვის უკეთეს ცხოვრებაზე ოცნების ხორცშესხმა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჯანდაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში, რის შედეგადაც ამაღლდა ხალხის კეთილდღეობა, წინ კიდევ ბევრი სამუშაო გველის, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა Caspian Energy-სთვის მიცემულ ინტერვიუში, ჟურნალისტის იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, სადაც კორესპონდენტი დაინტერესდა, როგორ წარმოუდგენია პრემიერს საქართველო ათი წლის შემდეგ.

როგორც პრემიერმა განაცხადა, მთავრობის მიზანია ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, იმისათვის, რომ შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, და ევროინტეგრაციის გაღრმავება, რომ მოსახლეობამ მიიღოს კონკრეტული სარგებელი, მაგალითად, ევროპაში უვიზო მიმოსვლა.

– დარწმუნებული ვარ, რომ ათ წელიწადში საქართველო იქნება თანამედროვე, დინამიკური ევროპული სახელმწიფო, ძლიერი და მყარი დემოკრატიული ინსტიტუტებით. ჩვენი მზარდი ეკონომიკა და დაჩქარებული ინტეგრაცია დასავლეთის ინსტიტუტებში მისცემს ქართველ ხალხს ბევრ ახალ შესაძლებლობას, როგორც პიროვნულ, ისე ინსტიტუციონალურ დონეზე.

ჩემი აზრით, საქართველო იქნება აყვავებული ქვეყანა, რომელიც წარმატებით გამოიყენებს თავის მდებარეობას, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი რგოლი. ათი წლის შემდეგ საქართველო გახდება რეგიონის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი და გლობალური ბიზნესის წამყვანი მოთამაშე. საერთოდ, ჩემი მოლოდინით, საქართველო მომავალშიც შეასრულებს იმ ქვეყნის როლს, რომელიც ხელს უწყობს მეზობლებს შორის მშვიდობისა და კონტინენტებს შორის ვაჭრობის განმტკიცებას. ასოცირების ხელშეკრულება ძალიან მალე უნდა ამოქმედდეს, – განაცხადა პრემიერმა.

**ნიუსპრესი**

# ლევან ალაფიშვილი: „მყიფე უმრავლესობით მთავრობის ფუნქციონირება რთულია“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო უმრავლესობის დაშლის შემთხვევაში მოვლენების განვითარების კონსტიტუციურ მოდელზე საუბრობს.

***— ბატონო ლევან, ხელისუფლების წარმომადგენელმა გედევან ფოფხაძემ განაცხადა, რომ არ არის კატასტროფა, თუ საპარლამენტო უმრავლესობა საერთოდ არ იქნება ამ ეტაპზე.***

— როგორც ჩანს, პოლიტიკაში მყოფი იურისტებისთვისაც არ არის სიტუაცია მკაფიო და მისი სიმძიმე კარგად დანახული. უმრავლესობა არ არის მყარი, მყიფეა და ამ პირობებში უწევს მთავრობას ფუნქციონირება. მთავრობას, რომელსაც არ ჰყავს მყარი უმრავლესობა პარლამენტში, არ შეუძლია ახალი ინიციატივების გატანა, რეფორმების გაგრძელება, საკანონმდებლო ინიციატივების წამოყენება და მიღება, არ შეუძლია, მისთვის მისაღები ფორმით წარმართოს საბიუჯეტო პროცესი და, რაც მთავარია, არ შეუძლია სტაბილური მართვა პოლიტიკური პოპულიზმის ელემენტების გარეშე.

***— ამ შემთხვევაში დგება თუ არა მინისტრთა კაბინეტის ცვლილების ჩავარდნის საფრთხე, რამდენად შეიძლება ეს იქცეს სხვადასხვა პარტიებთან ვაჭრობის მიზეზად?***

— ახალი მთავრობის ფორმირების საკითხის ირგვლივ, რასაც ღიად ვუყურებთ, ამას ვაჭრობა კი არა, რა შეიძლება ვუწოდოთ, არ ვიცი. რაც შეეხება კონსტიტუციურად როგორ ლაგდება პროცესი: თუკი მთავრობის 5 წევრი შეიცვალა, მაშინ პრემიერი ინარჩუნებს პოსტს და აყალიბებს ახალ მინისტრთა კაბინეტს, მაგრამ ასეთ დარჩენას, პოლიტიკურად სახლში წასვლა ჯობია.

***— რატომ?***

— მოქმედ პრემიერ კვირიკაშვილს თავისმა გუნდმა ადგილი მიუჩინა, როდესაც უთხრა, რომ რესპუბლიკელებთან ორპარტიულ სტრატეგიულ ფორმატში თანამშრომლობა არ იქნება. პრემიერს აგრძნობინეს, რომ ის ჯერ მხოლოდ წევრია პარტიის და არა – თავმჯდომარე. ამდენად, ის ან უნდა შეეგუოს მიჩენილ როლს, ან მიიღოს ის გადაწყვეტილება, როგორც პრემიერმა, რომელსაც თვითონ მიიჩნევს სწორად და ამით პოლიტიკური წონა შეიძინოს.

როდესაც პროცესები გადადის პარლამენტში, იქ საჭიროა 76 დეპუტატის მხარდაჭერა. როდესაც სახეზე არ არის 76 დეპუტატის მხარდაჭერა, მაშინ პრემიერის ნომინირების უფლება ეძლევა ორ მეხუთედს, ამდენად, საჭიროა, 60 დეპუტატის მიერ იყოს პრემიერობის კანდიდატი ინიცირებული. თუ ვერ მოიპოვა პრემიერობის კანდიდატმა პარლამენტის მხარდაჭერა, მაშინ წარმოიშობა სახელისუფლო კრიზისი.



***— სახელისუფლო კრიზისის დროს რა ხდება?***

— მაშინ პროცესში ერთვება ქვეყნის პრეზიდენტი და სწორედ პრეზიდენტმა უნდა გახსნას ეს კვანძი პარლამენტის დათხოვნითა და რიგგარეშე, ვადამდელი არჩევნების დანიშვნით. მე-60 დღეს არჩევნები უნდა ჩატარდეს. მაშინაც კი, როდესაც პრემიერი რჩება პოსტზე, მაგრამ მთავრობის ფორმირება ვერ ხერხდება, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ინიშნება.

ორივე სცენარის შემთხვევაში კვირიკაშვილი მინისტრებთან ერთად რჩება მოვალეობის შემსრულებლად, სანამ ახალი პარლამენტი არ აირჩევა და ის არ მოახდენს ახალი მთავრობის ფორმირებას.

მთავრობისთვის ხელახალი ნდობის გამოცხადების პროცესი თუ შემოვიდა დღის წესრიგში და თუ ის პარლამენტმა ჩააგდო, მაშინ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ინიშნება ანუ საარჩევნო კალენდარი მოკლდება და ეს იქნება არა შემოდგომა, არამედ ის დრო, როდესაც პრეზიდენტი დანიშნავს მას. ამ ვადის განმავლობაში კი ფუნქციონირებას ჩვეულებრივ აგრძელებს მოქმედი მთავრობა. თუმცა, ასპარეზზე აღარ იქნება პარლამენტი თავისი ვარსკვლავური შემადგენლობით.

***— ალბათ ეს ყველაზე ნაკლებად სავარაუდო სცენარია.***

— მთავრობის 5 წევრს, ასევე პრემიერს საკუთარი გადადგომით შეუძლიათ პოლიტიკური დღის წესრიგის შეცვლა ქვეყანაში.

***— პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში რა ხდება? ქანთარიამ უსუფაშვილის გადარჩევაზეც გააკეთა განცხადება.***

— არა მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის, არამედ მისი მოადგილეების, კომიტეტების თავმჯდომარეების დანიშვნის შემთხვევაშიც საჭიროა უმრავლესობის მხარდაჭერა.

***— თუ უმრავლესობა ვერ გროვდება პარლამენტში?***

— ცოტა ხნის წინ იყო იგივე სიტუაცია თავისუფალი დემოკრატების წევრ ზურაბ აბაშიძესთან დაკავშირებით. როგორც ვიცი, გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, რომ ტოვებს ვიცე-სპიკერის თანამდებობას. მოვლენებიც ალბათ ისევე განვითარდება, როგორც მაშინ.

***— პოლიტიკური კრიზისი რამდენად არის მოსალოდნელი?***

— პოლიტიკური კრიზისი, გნებავთ ახალი პოლიტიკური რეალობა, უკვე სახეზეა, მაგრამ ეს გადაიზრდება თუ არა სახელისუფლო კრიზისში, ეს უკვე პოლიტიკური დონისა და კულტურის საკითხია.

ვერ გეტყვით, რამდენად ეყოფათ გონიერება ჩვენს პოლიტიკოსებს პირადი, საკუთარი პარტიული ინტერესები გვერდით გადადონ და სახელმწიფოებრივი ინტერესებით იმოქმედონ. სწორედ ხელისუფლების არასტაბილურობა არის საუკეთესო მდგომარეობა ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი „კეთილის მსურველისთვის“, რომელიც ალბათ გეგმავს საპარლამენტო არჩევნებისთვის გარკვეულ სცენარებს, რათა მისი ღია თუ ფარული მხარდამჭერები მომავალ პარლამენტში იყვნენ წარმოდგენილი.

# ლევან ჩაჩუა სააპელაციო სასამართლომაც გაამართლა



სააპელაციო სასამართლომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე ბრალდებული ექსპერტი ლევან ჩაჩუა გაამართლა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ლევან ჩაჩუას ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ განუცხადა, დღევანდელი გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

— საქალაქო სასამართლომ შარშან მარტში მიიღო გადაწყვეტილება ლევან ჩაჩუას უდანაშაულობის შესახებ, რომელიც ბრალდების მხარემ გაასაჩივრა სააპელაციოში. სააპელაციოში ერთი წელი მიმდინარეობდა საქმის განხილვა, თუმცა პროკურატურამ ახალი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დატოვა უცვლელი, — განაცხადა ფანცულაიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# შსს საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკას აქვეყნებს



მიმდინარე წლის მარტი საქართველოში 450.875 ვიზიტით განისაზღვრა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, აღნიშნული მაჩვენებელი 2015 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 16,7 %-ით მეტია.

რაც შეეხება იანვარ-მარტის ინტერვალს, შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ქვეყანაში უკვე 1.134.436 ვიზიტი განხორციელდა, რაც 14,7 %-ით მეტია 2015 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

უწყების პრესსამსახურის განმარტებით, 2016 წლის მარტშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ აზერბაიჯანიდან (+19%), თურქეთიდან (+6,7%), სომხეთიდან (+4,2%), რუსეთიდან (+15,7%), უკრაინიდან (+26,9%) და ირანიდან (+1.065,8%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-მარტშიც გამოირჩნენ ლატვია, იტალია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი (შესაბამისად 48%, 27%, 23% და 13%), შუა აზიის ქვეყნებიდან – ყაზახეთი (27%) და უზბეკეთი (80%). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – ბელორუსია (37%) და მოლდოვა (39%), ახლო აღმოსავლეთიდან – ისრაელი (81%), ხოლო აზიის ქვეყნებიდან – არაბთა გაერთიანებული საემიროები 348%-იანი მატებით, აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 10%-იანი ზრდა.

– ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია: ტურისტი – 170.281 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 37,8%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 24,8%); ტრანზიტი – 82.609 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 18,3%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -6,3%); სხვა – 197.985 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 43,9%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 22,5%), – ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# მთავარმა პროკურატურამ 11 წლის წინ მომხდარი მკვლელობის საქმე გახსნა



საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 11 წლის წინ მომხდარი მკვლელობა გახსნა. თბილისში, 2005 წლის 3 დეკემბერს მომხდარ, ირაკლი გურაბანიძის განზრახ მკვლელობის ფაქტზე დაკავებულია გიორგი შალამბერიძე.

აღნიშნულთან დაკავშირებით უწყება განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

— საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გახსნილია ქ. თბილისში, 2005 წლის 3 დეკემბერს მომხდარი ირაკლი გურაბანიძის განზრახ მკვლელობის ფაქტი. დაკავებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებული გიორგი შალამბერიძე.

ირაკლი გურაბანიძის განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოში გამოძიება 2005 წელს დაიწყო, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა ხალხმრავალ ადგილას მოხდა, სამართალდამცავების მიერ დანაშაული ცხელ კვალზე ვერ იქნა გახსნილი. საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება 2015 წლის მარტში განაახლა. საქმეზე დაიწყო ინტენსიური გამოძიება, ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მოძიებული და დაკითხული იქნენ მკვლელობის უშუალო თვითმხილველები, ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც გამოძიების მიერ სრულად იქნა აღდგენილი 11 წლის წინანდელი მკვლელობის გარემოებები.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2005 წლის 3 დეკემბერს, დაახლოებით 21:30 საათზე, თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე №17 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას გიორგი შალამბერიძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ირაკლი გურაბანიძეს ყელის არეში მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო ჭრილობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ირაკლი გურაბანიძე გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, მიღებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

გიორგი შალამბერიძე, 2016 წლის 1 აპრილს, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებული იქნა ბრალდებულის სახით. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით წარედგინა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

საქმეზე გრძელდება გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით, რაც სასჯელის სახედ და ზომად შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# სოფელ გლდანში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

სოფელ გლდანში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს, შემთხვევა წუხელ მოხდა. დაჭრილია კიდევ ერთი პირი. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას, ასევე იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა–შენახვა–ტარებას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**



გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ბანკის კლიენტმა მილიონი დაკარგა?

## ბანკი რესპუბლიკა: „არც ერთ კლიენტს ბანკისთვის არ მოუმართავს საჩივრით მათ ანგარიშზე ამგვარი უჩვეულო ოპერაციის შესახებ“

გუშინ, 4 აპრილს, გაზეთმა „ბანკები და ფინანსები“ ბანკი „რესპუბლიკის“ შესახებ სკანდალური ინფორმაცია გამოაქვეყნა.

გავრცელებული ინფორმაციით, „ბანკი რესპუბლიკის“ თანამშრომელმა, ამავე ბანკის ერთ-ერთი მეანაბრის კუთვნილი დეპოზიტიდან თანხა უცხოეთში, სავარაუდოდ, საკუთარ ანგარიშზე მიმართა და მიიმალა.

ამ შემაშფოთებელი და თავისი არსით კრიმინალური ისტორიის დეტალები, რაზეც საბანკო სისტემის კულუარებში, როგორც აღმოჩნდა, თვეზე მეტია საუბრობენ, ასეთია:

ერთ-ერთმა შეძლებულმა ადამიანმა, თავისი ახლობლის რეკომენდაციით (როგორც ირკვევა და ამბობენ, მეზობლის), რომელიც „ბანკი რესპუბლიკას“ თანამშრომელი იყო, მის ხელთ არსებული სოლიდური მოცულობის თანხა „ბანკი რესპუბლიკას“ ანაბარზე შეიტანა. საუბარია 950.000 აშშ დოლარზე. დეპოზიტს ყოველთვიური სარგებლის სახით 5.000 აშშ დოლარამდე უნდა დარიცხვოდა. პირველი სამი თვის განმავლობაში, მეანაბრეს მართლაც ერიცხებოდა სარგებელი, შემდეგ კი ეს პროცესი შეწყდა.

როგორც ირკვევა, სწორედ ამის შემდეგ დაინტერესდა იგი ვითარებით, მიმართა ბანკს და აღმოჩნდა, რომ 950.000 დოლარი მის ანაბარზე აღარ იყო. შემდგომ გაირკვა, რომ მისსავე რეკომენდატორსა და მეზობელსა და ახლობელს, რომელსაც, როგორც ჩანს, კლიენტის ანგარიშზე სრული წვდომა შეეძლო, ანგარიშიდან 950.000 დოლარი მოუხსნია, საკუთარ ანგარიშზე გადაურიცხავს უცხოეთში და შემდეგ თავადაც გასულა საქართველოდან.

ასეთია ამ საბანკო დრამის გავრცელებული ვერსია. ისტორიაში უკეთ და უფრო დეტალურად გარკვევის მიზნით, „ბანკები და ფინანსები“, ბუნებრივია, „ბანკი რესპუბლიკას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაუკავშირდა.

მისმა ხელმძღვანელმა შოთა მაჭავარიანმა კითხვაზე, თუ რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს, განაცხადა, რომ ამ ისტორიის შესახებ მასაც სმენია, თუმცა, მისი თქმით, ეს მხოლოდ ჭორია და შეუძლებელია, „ბანკ რესპუბლიკაში“ რომელიმე თანამშრომელს მოეხერხებინა მეანაბრის ანგარიშზე წვდომა და იქიდან რაიმე ტრანზაქციის შესრულება.




ბანკის პოზიცია ასეთია და, ბუნებრივია, სხვა პასუხი მოსალოდნელი არც იყო, ვინაიდან ფაქტობრივად წარმოუდგენელია, მსგავსი ფაქტი რომელიმე ბანკმა აღიაროს. ასეთია საბანკო დანაშაულობებში სიცხადის შეტანა-არშეტანის პრაქტიკა ჩვენში.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მისი დედაქალაქი, თბილისი, შესაბამისად, პატარა ქალაქია და ინფორმირებულმა და დაინტერესებულმა საზოგადოებამ კარგად იცის, როდის, სად და რა მასშტაბით მომხდარა მსგავსი ისტორიები ახლო წარსულში.

ასეთი საქმეები ყოველთვის ჩაფარცხულა და ამა თუ იმ კონკრეტული ბანკის თუ მთლიანად სისტემის რეპუტაციის შელახვის არდაშვების მიზნით, ოფიციალურად მათ შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

ეს პრაქტიკა მანკიერია. ასე არ იქცევიან ცივილიზებულ დასავლეთში, სადაც ფულის ყადრიც უკეთ იციან და რეპუტაციისაც.

მსგავსი კრიმინალური ისტორიებიდან სოლიდური ფინანსური ინსტიტუტები გაძლიერებულებიც კი გამოდიან, როცა ჩუმად კი არ ანაზღაურებენ ზარალს, არამედ ბოდიშს იხდიან და უსაფრთხოების სისტემებს ხვეწენ და აძლიერებენ. აქ, რა თქმა უნდა, მარეგულირებლის, ჩვენს შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მხრიდან, მიდგომასა და მის პრინციპულობაზეც ბევრია დამოკიდებული.

**გიორგი კაპანაძე**
**გაზეთი „ბანკები და ფინანსები“**

* * *

გაზეთის ამ პუბლიკაციას „ბანკი რესპუბლიკის“ მხრიდან გამოხმაურება გუშინვე მოჰყვა.

**ბანკმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:**

რამდენიმე საათის წინ გაზეთ „ბანკები და ფინანსების“ და სხვა მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია „ბანკ რესპუბლიკაში“ მომხდარი თაღლითობის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება.

სამწუხაროა, რომ რიგი მედიასაშუალებები ხელს უწყობენ დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებას და საზოგადოებაში საბანკო სისტემისადმი ნდობის შელახვას.

„ბანკი რესპუბლიკა“ საერთაშორისო ფინანსური ჯგუფის წევრია. შესაბამისად, ის მუშაობს უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებით და აქვს როგორც სისტემური, ისე შიდა კონტროლის ეფექტური მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს მრავალდონიან ავტორიზაციას და რომელიც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მსგავს თაღლითურ ქმედებას.

საყურადღებოა, რომ არც ერთ კლიენტს ბანკისთვის არ მოუმართავს საჩივრით მათ ანგარიშზე ამგვარი უჩვეულო ოპერაციის შესახებ.

„ბანკი რესპუბლიკა“ მოუწოდებს ყველა მედია საშუალებას, რომელმაც მოახდინა აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება, იგივე ფორმით მოახდინონ ამ ინფორმაციის უარყოფა, ან/და ამ განცხადების გამოქვეყნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიტოვებთ უფლებას, სასამართლოს გზით მოვითხოვოთ ამ ქმედების განხორციელება.

ბანკი აგრძელებს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას და თავისი კლიენტების მაღალხარისხიანი საბანკო მომსახურებით უზრუნველყოფას.

* * *

**ბანკის ამ განცხადებას ასევე გუშინ უპასუხა გაზეთმა „ბანკები და ფინანსები“:**

ჩვენ მიერ გავრცელებული პუბლიკაცია ეყრდნობა რამდენიმე წყაროს, რომლებმაც იდენტური შინაარსის ინფორმაცია მიაწოდეს გაზეთს.

ბუნებრივია, გამოცემა მსგავსი ხასიათისა და მასშტაბის ინფორმაციას გვერდს ვერ აუვლიდა. პირველი, რაც გაკეთდა, იყო ის, რომ შედგა კომუნიკაცია „ბანკ რესპუბლიკას“ საზოგადოებასთან

ურთიერთობის სამსახურთან, რომლის მხრიდანაც მოხდა ინფორმაციის უარყოფა, რაც აისახა კიდეც პუბლიკაციაში.

„ბანკები და ფინანსების“ მხრიდან ისტორიის გადმოცემისას, პუბლიკაციის არც ერთ ნაწილში თხრობა არ ყოფილა მტკიცებით ფორმაში, მიუხედავად იმისა, რომ იმ რამდენიმე წყაროს, რომლებზე დაყრდნობითაც „ბანკები და ფინანსებმა“ ინფორმაცია გაავრცელა, სრულად ენდობა.

მიუხედავად „ბანკი რესპუბლიკას“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარმყოფელი განცხადებისა, საკითხთან დაკავშირებით „ბანკები და ფინანსები“ გეგმავს, ოფიციალურად მიმართოს როგორც თავად „ბანკ რესპუბლიკას“, ისე საქართველოს ეროვნულ ბანკსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს და „ბანკი რესპუბლიკას“ დამფუძნებელ ფინანსურ ინსტიტუტს – „სოსიეტე ჟენერალს“.

„ბანკები და ფინანსები“ მკითხველს დაუყოვნებლივ გააცნობს მიღებული გამოხმაურებების შინაარსს.

# რა სარგებლობას მოუტანს საქართველოს ირანთან თანამშრომლობა

რა ვითარებაა საქართველო-ირანის ურთიერთობების თვალსაზრისით მას შემდეგ, რაც საქართველომ გააუქმა ირანთან სავიზო რეჟიმი, ხოლო ირანსა და გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებს, ასევე გერმანიას შორის გაფორმდა ბირთვული შეთანხმების სახელით ცნობილი დოკუმენტი.

რა პოტენციალი არსებობს საქართველო-ირანს შორის ურთიერთობის კუთხით, რამდენად



შეიძლება გაძლიერდეს მისი როლი საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე, სოფლის მეურნეობაში და სხვა. ამ თემებზე სასაუბროდ კავკასიურ სახლში საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩის მოადგილე მოჰსენ ქებრიაიზადე იმყოფებოდა. აქვე გაიმართა პოლიტიკის დოკუმენტის პრეზენტაცია სახელწოდებით „საქართველო-ირანის ურთიერთობები და ახალი გამოწვევები ბირთვული შეთანხმების შემდეგ“.

ამერიკული რადიოსადგურის თანახმად, ირანის ელჩის მოადგილის, მოჰსენ ქებრიაიზადეს თქმით, ირანი ბუნებრივი გაზის რესურსის თვალსაზრისით მსოფლიოში მეორე ქვეყანაა, ხოლო პირველი იმ შემთხვევაში, თუ ერთად ვიანგარიშებთ ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოცულობებს, რაც ირანის ტერიტორიაზე მდებარეობს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ენერგეტიკის საკითხს და ამ მხრივ ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის განიხილავს, როგორც ეკონომიკის სფეროს ცალსახად, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური მომენტი სათვალავში ჩასაგდები არაა. ელჩის მოადგილემ არაერთხელ აღნიშნა, რომ რეგიონული თანამშრომლობის პოტენციალი საქართველოსა და ირანს შორის არაა ათვისებული, რასაც ხარვეზად მიიჩნევს.

– საქართველოს შესაძლებლობების შესახებ ირანის შესაბამისი უწყებები ინფორმაციას ნაკლებად ფლობენ. ამიტომაც ჩვენი შეთავაზება იყო იმის თაობაზე, რომ ჩატარდეს ენერგეტიკული სემინარები, ტრენინგები. დიდი იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე წელს შევძლებთ ენერგეტიკის სფეროში ერთობლივი ფორუმის ორგანიზებას.

ირანის ელჩის მოადგილემ ქართულ მხარესთან თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი ცალსახად დააფიქსირა, თუმცა აქვე გაეცა შეკითხვას იმის თაობაზე, აქვს თუ არა კომუნიკაცია საქართველოს ენერგეტიკის მინისტრთან და განიხილება თუ არა გაზის ტრანსპორტირების საკითხი საქართველოში, ან იხილება თუ არა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალი. მოჰსენ ქებრიაიზადემ საქართველოსთან თანამშრომლობის სურვილის პარალელურად ისიც დააფიქსირა, რომ ირანს არ სურს გაზის გატანა ევროპაში და გამოთქვა წუხილი იმის გამო, რომ მიუხედავად ტერიტორიული სიახლოვისა, საქართველოში ნაკლებად აქვთ ინფორმაცია ირანის შესახებ და პირიქით – ირანში არაფერი იციან საქართველოს თაობაზე.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი სანიკიძემ საქართველო-ირანის ურთიერთობა ერთი წინადადებით ასე დაახასიათა: „ესაა ცივი, კეთილმეზობლური ურთიერთობა“.

იგი ამბობს, რომ ირანი, არსებული რეალობის გათვალისწინებით, ვერ მოახერხებს ვერც ერთი ნაბიჯის გადადგმას ისე, რომ ეს დაპირისპირებაში მოდიოდეს რუსეთის ინტერესებთან.

– ცალკე აღნიშვნის ღირსია ირანის ურთიერთობა რუსეთთან. ირანი, ზოგადად, სამხრეთ კავკასიაში აღიარებს რუსეთის ინტერესების პირველადობას საკუთარ ინტერესებთან შედარებით. საქართველოსთან მიმართებით ბევრი პრობლემაა. მაგალითად, ესაა საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა თურქეთთან, მესამე პრობლემად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია და სურვილი გახდეს ნატოს წევრი, მაგრამ ამასთანავე, ეს პროდასავლური ორიენტაცია, გარკვეულწილად, შესაძლოა მიმზიდველიც იყოს ირანისთვის.

ირანის ელჩის მოადგილე აღნიშნავს, რომ მიუხედავად საგარეო პოლიტიკური ფაქტორებისა, ირანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის სტაბილური მხარდამჭერია. „კავკასიური სახლის“ პოლიტიკის დოკუმენტში ნათქვამია:

– საქართველო ის იშვიათი ქვეყანაა რეგიონში, რომელსაც აშშ-სთან, ისრაელთან, ირანსა და ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა სხვა სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობები აქვს. საქართველოს აქვს რესურსი გამოიყენოს ეს მდგომარეობა და დასავლურ სამყაროსა და ირანს შორის გამტარის როლი შეასრულოს.

**ნიუსპრესი**

# მეტროპოლიტენის თანამშრომლები 8 აპრილს მეტროს პარალიზებით იმუქრებიან




8 აპრილს დილით შესაძლოა თბილისის მეტროპოლიტენმა აღარ იმუშაოს, – ამის შესახებ განცხადება პროფესიული კავშირი „ერთობა 2013“-ის წევრებმა გააკეთეს.

თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეები და სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე პირები გუშინ მეტროსადგურ „დიდუბის“ შესასვლელთან შეიკრიბნენ და აქცია-ბრიფინგი გამართეს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას პროფკავშირ „ერთობა 2013“-ის წევრმა, მემანქანემ ემზარ ბარბაქაძემ განაცხადა, პირველ მარტს ჯანდაცვის სამინისტროში, მერიაში და თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ადმინისტრაციაში მათ შეიტანეს განცხადებები სამი მთავარი მოთხოვნით, რომელთაგანც მხოლოდ ერთ საკითხზე მიმდინარეობს დღესაც გარკვეული შეთანხმება.

ემზარ ბარბაქაძის განცხადებით, მეტროპოლიტენის მემანქანეები და მეტროში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული ადამიანები ითხოვენ წელთა ნამსახურების მიხედვით ანაზღაურებას, ხელფასის მომატებას და ღამის საათების განსხვავებული ტარიფით ანაზღაურებას. ბარბაქაძემ ასევე აღნიშნა, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ადმინისტრაცია თანახმა არის აპრილის თვეში ჩარიცხოს თანხები წელთა ნამსახურების მიხედვით თანამშრომლებისთვის.

რაც შეეხება ხელფასის მომატებას და ღამის საათების განსხვავებული ტარიფით ანაზღაურებას, ამ ორ თემაზე საუბარი საერთოდ არ მიმდინარეობს.

„დიდუბის“ მეტროსთან შეკრებილი თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები აცხადებენ, ადმინისტრაციას აძლევენ სამდღიან ვადას. დღესვე ისინი აპირებენ გაფიცვის დაწყების შესახებ განაცხადებები შეიტანონ ჯანდაცვის სამინისტროში და კომპანიის ადმინისტრაციაში, რის შემდეგაც კანონის შესაბამისად, სამი დღის ვადის გასვლის შემდეგ ისინი 7 აპრილს, დეპო გლდანში შეიკრიბებიან და გაფიცვას დაიწყებენ. ბარბაქაძის განცხადებით, თუ მათი პირობები არ შესრულდება, 8 აპრილს დილით შესაძლოა მეტროპოლიტენმა აღარ იმუშაოს.

**ინტერპრესნიუსი**

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ პროფილაქტიკურ სამუშაოებს იწყებს

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გეგმურ-პროფილაქტიკური სამუშაოების განხორციელებას იწყებს. როგორც კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული სამუშაოების განხორციელება რიგ შემთხვევებში დაკავშირებულია ბუნებრივი გაზის მიწოდების გეგმურ შეწყვეტასთან, რის შესახებაც კომპანია აკეთებს შესაბამის განცხადებებს მედიასაშუალებების, საკუთარი ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მეშვეობით.

– კომპანია მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ახდენს მოსახლეობის შესაბამისი ნაწილის ინფორმირებასაც. გვსურს აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ტიპის სამუშაოების მიმდინარეობისას რამდენჯერმე დაფიქსირდა მოსახლეობის მხრიდან უხეში და უნებართვო ჩარევა კომპანიის სპეციალისტების კომპეტენციაში, რაც პირდაპირ იწვევს უსაფრთხოების ნორმების დარღვევას. ამგვარი ქმედებით შესაძლოა საფრთხის წინაშე დადგეს ადამიანთა სიცოცხლე.

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ აცხადებს, რომ კატეგორიულად იკრძალება ნებისმიერი ტიპის ჩარევა კომპანიის მიერ წარმოებულ სამუშაოებში, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუთვალისწინებელი ნეგატიური შედეგები და ასევე მადლობას უხდის საკუთარ აბონენტებს ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტასთან დაკავშირებული დისკომფორტის გამო გამოჩენილი გულისხმიერებისთვის, – ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# „რესპუბლიკელები რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ“

## ბიბისი კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლას ეხმიანება

**გავლენიანი ბრიტანული მედიასაშუალების მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია საქართველოს მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წევრის – რესპუბლიკური პარტიის გადაწყვეტილება 2016 წლის შემოდგომისათვის დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით: „რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც ქვეყნის პროდასავლური კურსის მტკიცე მხარდამჭერია, განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს და არა კოალიციის პარტნიორებთან, – ნათქვამია პუბლიკაციაში, რომლის რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ.**

– მიუხედავად ასეთი განცხადებისა, „რესპუბლიკელების“ თქმით, მათი გადაწყვეტილება სულაც არ ნიშნავს არც კოალიციიდან გასვლას და არც საპარლამენტო უმრავლესობისა და მთავრობის დატოვებას, სადაც სამი მინისტრი „რესპუბლიკელია“, მათ შორის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი. მაგრამ ოპოზიციის ნაწილი და პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკურ არენაზე ბოლო დროს მომხდარი მოვლენები სწორედაც რომ მმართველი კოალიციის ფაქტიურ დაშლას ნიშნავს – კოალიციისა, რომელიც თავიდანვე ეკლექტური გაერთიანება იყო, ხოლო „რესპუბლიკელების“ გადაწყვეტილებამ შეიძლება ეჭვები გააძლიეროს „ოცნების“ პროდასავლური კურსის ერთგულების მიმართ, – აღნიშნავს ავტორი.

სტატიაში ვრცლადაა გადმოცემული ის განცხადებები, კომენტარები და პროგნოზები, რომლებიც რესპუბლიკური პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გაკეთდა როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან (ციტირებულია პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის დავით ბაქრაძის, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის განცხადებები, პოლიტოლოგ გია ნოდიას კომენტარები).

– როცა ჩვენ 2012 წლის არჩევნების წინ ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ გავერთიანდით, მაშინ ყველას ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი გვქონდა – დაგვემარცხებინა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი, რაც წარმატებით შესრულდა. ამის შემდეგ კოალიციის არსებობა მხოლოდ ეკლექტურ შთაბეჭდილებას ტოვებდა – სუბიექტები მასში მხოლოდ პოზიციების შენარჩუნებასა და საკუთარი პარტიების განვითარებას ცდილობდნენ. რაც შეეხება უშუალოდ რესპუბლიკელთა ნაბიჯს, ვფიქრობ, რომ მათი გადაწყვეტილება, ქართული რეალობის გათვალისწინებით, ამომრჩეველთა დაბნევას გამოიწვევს. ჩემთვის, მაგალითად, გაუგებარია, ახლა ისინი ოპოზიციაში არიან თუ ხელისუფლებაში, – ამბობს ზურაბ აბაშიძე.

– როცა კოალიცია იქმნებოდა, ბიძინა ივანიშვილს პროდასავლური ძალებიც სჭირდებოდა, რადგანაც გაჩნდა ეჭვი, რომ იგი პრორუსულ პოლიტიკას გაატარებდა. ამიტომაც მისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ კოალიციაში პროდასავლური პარტიებიც ყოფილიყვნენ. მაგრამ ეს პარტიები [„რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“] მას ნერვებს უშლიდნენ, რადგანაც ისინი ხაზს უსვამდნენ თავიანთ უპირატესობას და უკეთესობას კოალიციის სხვა წევრებთან შედარებით, რომ უფრო ინტელექტუალები და პროფესიონალები არიან, – ამბობს გია ნოდია „ბი-ბი-სი“ კორესპონდენტთან საუბარში.

პოლიტოლოგის თქმით, სამომავლოდ შეიძლება ეჭვი გაჩნდეს, რომ „ქართული ოცნება“ პროდასავლური კურსის ერთგული აღარ იქნება: „ამიტომაც ბიძინა ივანიშვილმა პარტიის განახლება გამოაცხადა. მას ისეთი პიროვნებები სჭირდება თავისი პარტიისათვის, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის სახელით გამოვლენ და იმავდროულად დასავლელი პოლიტიკოსების მიერაც „თავიანთ კაცად“ იქნებიან აღქმულნი. ჩემთვის ძნელია იმის თქმა, მოძებნის თუ არა ბიძინა ივანიშვილი ასეთ ადამიანებს, რადგან დღეს „ქართული ოცნება“ საკმაოდ არაპოპულარული პარტიაა და ისეთი ხალხი, რომლებიც პროდასავლურ ფასეულობებს იზიარებენ, ამ პარტიაში შესვლას მაინცდამაინც არ ჩქარობენ“, – ამბობს გია ნოდია. იგი არ გამორიცხავს იმას, რომ არჩევნების შემდეგ პარლამენტში რუსული ძალაც გაჩნდება.

ამასთან, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ქართულ შიდაპოლიტიკურ არენაზე მომხდარი ცვლილებები პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და თუ რესპუბლიკელებს კოალიციის სხვა წევრებიც მიბაძავენ, ეს სასარგებლო იქნება საქართველოს დემოკრატიისა და პოლიტიკური კულტურის განვითარებისათვის.

– თუ „ქართული ოცნების“ სხვა სუბიექტებიც გადაწყვეტენ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას, ამით მოხდება ბუნებრივი შერჩევა, როცა ყველა პარტია საკუთარი პროგრამითა და დოქტრინით იქნება წარმოდგენილი. შესაბამისად, აღარ იქნება ისეთი სიტუაცია, როცა ელექტორატში ნაკლებად პოპულარული პარტია სხვა, უფრო გავლენიანი პარტიის მხრებზე შედის პარლამენტში, – ამბობს ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე „ბი-ბი-სი“-ს ჟურნალისტთან ინტერვიუში.

მისი თქმით, არჩევნებთან დაკავშირებით რაიმე პროგნოზის გაკეთება ამ ეტაპზე ნაადრევია, თუმცა დღეს უკვე ჩანს, რომ „რესპუბლიკელების“ მიმართ საქართველოს მოსახლეობის კონსერვატიული ნაწილი ნეგატიურადაა განწყობილი.



აღსანიშნავია, რომ ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება გადადიოდა მთლიანად „ქართულ ოცნებაზეც“, რადგან „რესპუბლიკელების“ კოალიციაში ყოფნა უცხო ელემენტის არსებობად აღიქმებოდა.

– რესპუბლიკური პარტია ძალიან რთული არჩევანის წინაშე დადგა – ის ან კომპრომისზე უნდა წასულიყო საკუთარი ფასეულობებთან მიმართებით და კოალიციაში დარჩენილიყო, ან თავისი იდეოლოგიის ერთგული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში კოალიციაში მისი ადგილი აღარ იქნებოდა. „რესპუბლიკელებმა არჩევანი მეორის სასარგებლოდ გააკეთეს, – ამბობს ზაალ ანჯაფარიძე.

ანალიტიკოსის თქმით, რესპუბლიკური პარტიის გადაწყვეტილების შემდეგ დასავლეთს შეიძლება „ქართული ოცნების“ მიმართ კითხვები გაუჩნდეს, თუმცა, როგორც იგი თვლის, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა ნაკლებად სავარაუდოა. „თვითგადარჩენის ინსტინქტი პარტიას ასეთ ნაბიჯს არ გადაადგმევინებს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ განწირული იქნება, – ასკვნის ზაალ ანჯაფარიძე.

**ნიუსპრესი**

# აზერბაიჯანი: „ამ ორთაბრძოლას საქართველო იგებს; რატომ გაედინება ინვესტიციები აზერბაიჯანიდან საქართველოში“



ქართული უწყების წინასწარი ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს საქართველოს უმსხვილესი უცხოელი ინვესტორი აზერბაიჯანი გახდა – ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, 2015 წელს აზერბაიჯანიდან საქართველოში გატანილი იქნა 542 მილიონი დოლარი და, შესაბამისად, ქართულ საინვესტიციო პორტფელში 40%-იანი მოცულობით, აზერბაიჯანმა პირველი ადგილი დაიკავა.

წინა მონაცემებს თუ შევადარებთ (303 მილიონი დოლარი – 2014 წელს), ეს ნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში აზერბაიჯანიდან საქართველოში დიდი რაოდენობით კაპიტალი გაედინება, – წერს მკვლევარი აჰმედ ალილი აზერბაიჯანულ გამოცემა „ეხოში“.

იგი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანელი მეწარმეები და ბიზნესმენები ყოველთვის აქტიურად აბანდებდნენ კაპიტალსა და ინვესტიციებს მეზობელი ქვეყნის ეკონომიკაში, მაგრამ აზერბაიჯანში ბოლო დროს განვითარებული კრიზისის ფონზე ეს ფენომენი საინტერესო ხდება და შესწავლას მოითხოვს.

მკვლევარის ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ მასმედიის ზოგიერთ საშუალებაში აზერბაიჯანელი ბიზნესმენების ინტერვიუებიც კი ქვეყნდება იმის შესახებ, თუ რატომ წყვეტენ ისინი ბიზნესსაქმიანობას აზერბაიჯანში და რატომ იწყებენ საქართველოში მაშინ, როცა თვით აზერბაიჯანი ფინანსური კაპიტალისა და რესურსების ნაკლებობას განიცდის.

რით შეიძლება აიხსნას ინვესტიციების გადინება აზერბაიჯანიდან საქართველოში?

ავტორი აანალიზებს საერთაშორისო გამოცდილებასა და პრაქტიკას ფინანსების მიზიდვისა და კაპიტალის დაბანდება-ინვესტირების სფეროში აშშ-ის მაგალითზე: დელავერის შტატის ხელისუფლებამ ბევრი კანონი მიიღო ბიზნესის წარმოების სფეროში – გაამარტივა კანონმდებლობა, მოახდინა ბიზნესის დერეგულირება, შეამცირა გადასახადები სხვა შტატებიდან ბიზნესმენების მიზიდვის მიზნით. ეკონომიკურ წრეებში ეს მოქმედება ცნობილია ტერმინით „დელავერის ეფექტი“, რომელიც ერთგვარ კონკურენციას ასახავს შტატებს შორის – ვინ უფრო მეტ უკეთეს პირობებს შეუქმნის ბიზნესს და, შესაბამისად, ვინ მიიზიდავს უფრო მეტ ინვესტიციებს.

რადგანაც საქართველო და აზერბაიჯანი ორივე ერთ რეგიონში მდებარეობს, ისინი ერთმანეთისათვის ბუნებრივ კონკურენტებს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, აჰმედ ალილი ასკვნის, რომ ბიზნესისათვის საქართველოში უფრო კარგი პირობებია შექმნილი, კონკურენციის პროცესი იქ უფრო აქტიურად და სამართლებრივად მიმდინარეობს.

– აშკარაა, რომ ამ „ორთაბრძოლაში“ საქართველო იგებს, მაგრამ უფრო საწყენია ის ფაქტი, რომ ჩვენი მეზობელი ინვესტიციებს არა მარტო კავკასიის რეგიონის ფარგლებს გარედან იზიდავს, არამედ თვით აზერბაიჯანიდან, სადაც მანათის მკვეთრი დევალვაცია მოხდა, მოსახლეობის ცხოვრების დონე დაეცა და საერთოდ, ქვეყანა ნაკლებ მიმზიდველი გახდა ინვესტორებისათვის, – აღნიშნავს მკვლევარი.

ავტორი პუბლიკაციაში ეხება აზერბაიჯანის მთავრობის მიერ განხორციელებულ ძალისხმევასაც, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

**ნიუსპრესი**

# ვახტანგ კაპანაძე: „ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციას სრულად ვიღებთ“



საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, ვახტანგ კაპანაძის განცხადებით, თუ შესაძლებელია საქართველომ ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საქმეში მედიატორის როლი უნდა იკისროს.

ამის შესახებ განცხადება კაპანაძემ ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გააკეთა.

ვახტანგ კაპანაძე:

– ყურადღებით ვაკვირდებით ყარაბაღის მოვლენებს. ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს ჩვენს კოლეგებთან როგორც აზერბაიჯანში, ასევე სომხეთში. ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას სრულად.

იმედი მაქვს, რომ ცეცხლის შეწყვეტა მოხდება და მხარეები კონფლიქტის დასარეგულირებლად უფრო წყნარ და მშვიდ ფაზაში გადავლენ.

თუ შესაძლებელია უნდა ვიკისროთ კიდეც მედიატორის როლი, რადგან ერთ-ერთი ის ქვეყანა ვართ, რომელიც ორივე მხარესთან კარგ ურთიერთობაში იმყოფება.

**ნიუსპრესი**



# „გერმანიაში ბინების ძარცვას ქართველი ქურდების მაფია აკონტროლებს“

გერმანიის ტელეკომპანია „ნ-ტვ“-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია სტატია გერმანიაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩადენილი დანაშაულობების შესახებ. მასში გადმოცემულია ის მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც ქართველები ჩადიან გერმანიაში და ხერხები, რითაც სარგებლობენ ისინი საცხოვრებელი სახლების ძარცვის დროს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის მიმოხილვას:

გერმანის კრიმინალური პოლიციის თანამშრომელთა პროფესიული ასოციაციის ხელმძღვანელმა ანდრე შულცმა გაზეთ „ბილდ“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში პასუხისმგებლობა ქართულ მაფიას დააკისრა: „გერმანიაში ქართველების მიერ ჩადენილი დანაშაულობების უკან ქართული მაფიოზური ჯგუფები დგანან, რომლებიც მიზანმიმართულად აგზავნიან კრიმინალურ ელემენტებს საქართველოდან გერმანიაში, აქ კი მათ ხვდებიან ადამიანები, აძლევენ მათ დროებით თავშესაფარს და სანამ 8-10 თვის განმავლობაში მათი თხოვნა განიხილება, ისინი სახლების ძარცვით არიან დაკავებულნი.

– მძარცველები ხშირად თავს ლტოლვილებად ასაღებენ. ისინი საკმაოდ მობილურები არიან, სხვადასხვა ქალაქებში გასტროლიორობენ, – ამბობს ანდრე შულცი.

მისი თქმით, ასევე ბევრი დამნაშავეა წარმოშობით დასავლეთ ბალკანეთიდან და მაღრიბის (აღმოსავლეთის) ქვეყნებიდან.

– გერმანია პროფესიული ბანდებისათვის პირდაპირ სამოთხეა. ჩვენი ქვეყანა ევროპაში მდიდარია და აქ ქურდობა „მადას აღძრავს, – ამბობს ანდრე შულცი.

გაზეთების მონაცემებით, გერმანიაში იმიგრანტების მიერ ბინების ძარცვის რაოდენობამ 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს მნიშვნელოვნად მოიმატა, რომელმაც საერთო რაოდენობის 9,9% შეადგინა (167 ათასი შემთხვევა). ტელეკომპანია „ნ-ტვ“-ს ეთერში 31 მარტს ისაუბრა BDK-ის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა მიხაელ ბიოლმა, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ გერმანიაში ქართული წარმოშობის დამნაშავე პირები ძალიან მომრავლდა, ქართული მაფია გააქტიურდა და რომ გერმანიის ხელისუფლებამ ამაზე უმკაცრესი ზომები უნდა მიიღოს.

**ნიუსპრესი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სომხეთი რუსეთს პრეტენზიებს უყენებს

## აზერბაიჯანი საერთაშორისო ორგანიზაციების უსუსურობას აპროტესტებს

მარიამ მჭედლიშვილი

**ბოლო დღეებში მთიან ყარაბაღში განვითარებული მოვლენები ყველაზე მწვავე აღმოჩნდა 1994 წლის შემდეგ. ამის გამო შეშფოთება გამოითქმის საქართველოშიც. ქართველი ექსპერტები აღიარებენ, რომ ვითარებას ამძიმებს რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული დაპირისპირება. რაც პირდაპირი საფრთხეა საქართველოსათვის.**

– მთიანი ყარაბაღი განხეთქილების კიდევ ერთი ვაშლია პუტინსა და ერდოღანს შორის. რუსეთი პირველად ასე აშკარად ერევა ოპერაციაში, რომელიც მიმართულია ნატოს წევრის წინააღმდეგ, – წერს იტალიური „ჯორნალე."

იტალიური მედიის აზრით, რუსეთი ამას აკეთებს ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთ საზღვრების მილიტარიზაციის საპასუხოდ, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება უკრაინის კრიზისს და თურქეთისა და უკრაინის ლიდერების დაახლოებას.

აზერბაიჯანი და სომხეთი კონფლიქტის განახლებას ისევ ერთმანეთს აბრალებენ. სიტუაციის დაძაბვამდე აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი იმყოფებოდა აშშ-ში, სადაც შეხვდა სახელმწიფო მდივან ჯონ ქერის. ალიევმა განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი უნდა გადაწყდეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე. ეს რეზოლუცია ითვალისწინებს სომხეთის ჯარის გაყვანას მთიანი ყარაბაღიდან. ჯონ ქერიმ გამოთქვა იმედი, რომ გაყინული კონფლიქტი გადაწყდება. ამისთვის საჭიროა მოლაპარაკებები.

ბოლოდროინდელი მოვლენების განვითარების შემდეგ ბაქომ განაცხადა, რომ ეს კონფლიქტი აღარ არის გაყინული.

– აზერბაიჯანი არ მოითმენს სომხური მხარის პროვოკაციებს. სომხეთს უკვე 25 წელიწადია, ოკუპირებული აქვს აზერბაიჯანის ტერიტორიები. ის იქ ატარებს სამხედრო სწავლებებს, ცხრილავს აზერბაიჯანულ სოფლებს. ეს დაუშვებელია. აქ არ არის გაყინული კონფლიქტი. კონფლიქტი ბოლოს და ბოლოს უნდა გადაწყდეს, – აღნიშნავს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ნოვრუზ მამედოვი.

მან თქვა, რომ ამ კონფლიქტის მოგვარებაზე მომუშავე მინსკის ჯგუფი, ასევე ეუთო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები პასიურობენ. ამით სარგებლობს სომხეთი და ამ გზით ცდილობს ყურადღების მიპყრობას.

სომხეთში ამ სიტუაციაში პრეტენზიები გამოთქვეს რუსეთის მიმართ. ისინი უკავშირდება იარაღის აზერბაიჯანისთვის მიყიდვას, რასაც სომხეთი ადრეც ეწინააღმდეგებოდა. ერევანში არ ეთანხმებიან ასევე მოსკოვის წინადადებას ამ პრობლემაზე მოლაპარაკებების ეუთოს ეგიდით რუსეთში გამართვას.

– ყოველი ამგვარი სიტუაციის დროს რუსეთის მხარე ცდილობს დივიდენდების მიღებას და და თავისი როლის დაფიქსირებას, – ამბობს სომხეთის პარლამენტის დეპუტატი ედმონ მანუკიანი.



**„ესაა განხეთქილების კიდევ ერთი ვაშლი პუტინსა და ერდოღანს შორის**

მისი შეფასებით, მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის მიერ აზერბაიჯანისთვის მიყიდული დიდძალი იარაღი ერთ მშვენიერ დღეს მიგვიყვანდა ამგვარ სიტუაციამდე.

– პირველ რიგში, მათ ეს უნდა მოინანიონ და გადადგან იმ გარანტიებთან დაკავშირებული ნაბიჯები, რომელთაც სომხეთის მხარეს აძლევდნენ, – აღნიშნავს სომეხი დეპუტატი.

მისი თქმით, როცა სომხეთი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იარაღის მიყიდვაზე, მას პასუხობდნენ, რომ ამით არ დაირღვევა ბალანსი რეგიონში და ეს არაა მიმართული მოკავშირე სომხეთის წინააღმდეგ.

მანუკიანის აზრით, რუსეთში მოლაპარაკებების გამართვა სწორი არ იქნება, ვინაიდან მინსკის ჯგუფში სამი მხარეა და პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთმა არ უნდა აიღოს.

ის ამბობს, რომ მოლაპარაკებებში უნდა მონაწილეობდნენ სხვა მხარეებიც – აშშ და საფრანგეთი.

# პუტინი და კორუფცია



ჟურნალისტური გამოძიების საერთაშორისო კონსორციუმმა გამოაქვეყნა ვრცელი მასალა რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანსა და სერბეთში არსებულ კორუფციაზე.

მოხსენების ძირითადი ნაწილი რუსეთს მიეძღვნა.

მასში დეტალურადაა გაშუქებული პუტინის უახლოესი გარემოცვის მონაწილეობა სხვადასხვა კორუფციულ სქემებში. კერძოდ, განხილულია ის უკანონო ფინანსური ოპერაციები, რასაც პუტინის უახლოესი გარემოცვა ბანკ „როსიასა" და პანამის ოფშორული კომპანიების მეშვეობით აწარმოებს.

ამ გზით „გადარეცხილ" იქნა 2 მილიარდამდე დოლარი.

მოხსენების ძირითადი ნაწილი პეტერბურგელი ვიოლონჩელისტის სერგეი როლდუგინის უკანონო ფინანსურ ოპერაციებს მიეძღვნა. როლდუგინი პუტინთან დაახლოებული ადამიანია.

ასევე დეტალურადაა გაშუქებული რუსეთის შს მინისტრის მოადგილეების მახონოვისა და ზუბოვის ფინანსური აფიორები. ავტორებმა ზღვა მასალა შეკრიბეს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის პატრუშევის ბიძაშვილის, რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვისა და მისი მეუღლის ტატიანა ნავკას უკანონო საქმიანობაზე. შეგროვებულ იქნა დიდი მასალა რუსეთის დუმის დეპუტატების მონაწილეობაზე კორუფციულ გარიგებებში, იმაზე, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფო სამსახურში იყო და მილიარდები იშოვო.

მოხსენებაში მოყვანილია დამამტკიცებელი საბუთები ბანკ „როსიას" კორუფციულ სქემებში მონაწილეობის შესახებ. ჩამოთვლილია ოთხი ფირმა, რომელიც ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული და რუსი პოლიტიკოსების ფინანსურ აფიორებში არის ჩაბმული.

დასახელებულია რამდენიმე ბიზნესმენი (იური კოვალჩუკი, არკადი და რომან როტენბერგები და სხვ.), რომელთა მეშვეობითაც რუსი მაღალჩინოსნები თავიანთ ბნელ საქმეებს აკვარახჭინებდნენ.

რუსი ოპოზიციონერი ნავალნი აღნიშნული მოხსენების გამოქვეყნებას მიესალმა. სხვა რუსი ოპოზიციონერები უფრო თავშეკავებულნი არიან. ისინი თვლიან, რომ ამ მოხსენების გამოქვეყნება პუტინის რეჟიმს ვერაფერს დააკლებს.

# ხანძარი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შენობაში



რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შენობას ხანძარი გაუჩნდა.

არავინ დაზიანებულა.

ხანძრის დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი განადგურდა.

ხანძრის მიზეზი მოკლე ჩართვაა. როგორც ჩანს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროში მოძველებული ელექტროგაყვანილობაა, ამიტომაც მოხდა მოკლე ჩართვა და გაჩნდა ხანძარი.

შედეგად ჩამოინგრა სახურავი.

ხანძრის ჩაქრობისას დაშავდა ერთი მეხანძრე.

# რომის პაპი უკრაინისთვის ფულის შეგროვებას იწყებს



რომის პაპმა ფრანცისკმა განაცხადა, რომ 24 აპრილს ყველა კათოლიკურ ეკლესიაში უკრაინისთვის ფულის შეგროვება დაიწყება.

პაპმა აღნიშნა, რომ ამით სურს, უკრაინას გასაჭირი შეუმსუბუქოს.

– მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ უკრაინელთა უმრავლესობა მართლმადიდებელია! ახლა მთავარია, მათ გასაჭირში ხელი გავუმართოთ, – თქვა პაპმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# გდრ-ის დაზვერვის არქივებში კიმ ფილბის ვიდეო ჩანაწერი აღმოაჩინეს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის (შტაზი) არქივებში ცნობილი მსტოვრის, კიმ ფილბის ლექციის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი აღმოაჩინეს.

ფილბი შტაზის თანამშრომლებს უყვება, როგორ მოეწყო ინგლისის დაზვერვაში, როგორ გახდა საბჭოთა აგენტი, როგორ მუშაობდა როგორც ინგლისის, ასევე რუსებისა თუ ამერიკელების დაზვერვებზე და ა.შ.

ეს პირველი დოკუმენტური მასალაა, სადაც ფილბი სხვადასხვა ქვეყნების დაზვერვებზე მუშაობის შესახებ ყვება.

კიმ ფილბი ე.წ. „კემბრიჯის ხუთეულის" წევრი იყო (ფილბი, მაკლინი, ბარჯესი, კერნკროსი, ბლანტი). ინგლისის კონტრდაზვერვამ ის ამხილა, თუმცა ფილბიმ რუსეთში გაქცევა შეძლო.



უცხო გარემო მასზე დამთრგუნველად მოქმედებდა. ფილბიც გალოთდა. გარდაიცვალა 1988 წლის 11 მაისს მოსკოვში. ვარაუდობენ, რომ მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები". კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავებაშეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**ცნობილი სექსოლოგი გიორგი გოგბაიძე სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს. ტელ: 599-25-50-50.**

# დღეს ჩემპიონთა ლიგა განახლდება



დღეს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალები იწყება. საინტერესო უნდა გამოდგეს პრიმერა დივიზიონის პირველ-მეორე ადგილზე მყოფი გუნდების, ბარსელონასა და ატლეტიკოს ჯახი. მეორე წყვილი შედარებით ადვილი პროგნოზირებადია – ბაიერნს ბენფიკას ძლევა არ უნდა გაუჭირდეს.

**ბარსელონა – ატლეტიკო 1.53 3.75 7.0**

პრიმერა დივიზიონის ძველი ნაცნობები ბოლო 3 სეზონის მანძილზე მეორედ გადაეყარნენ ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგაზე. პირველ შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გასვლა ატლეტიკომ მოახერხა.

ეს იყო ევროთასებზე ამ გუნდების ერთადერთი ჯახი. 2013-14 წლების სეზონშიც მეოთხედფინალი იყო. პირველი მატჩი ბარსელონაში ჩატარდა და დიეგოს გოლი ნეიმარმა გააქვითა. მადრიდში კი კოკემ მე-5 წუთზე გაიტანა და კატალონიელთა დიდი მცდელობის მიუხედავად, გამარჯვება ზოლიანებს დარჩათ.

ამ წაგებით კატალონიელებმა შეწყვიტეს 6-წლიანი სერია ნახევარფინალში გასვლის, მაგრამ ახლა ზედიზედ მე-9 არიან მეოთხედფინალში და ძველ რეკორდს უმიზნებენ.

ატლეტიკო კი ზედიზედ მესამე წელია, მეოთხედფინალშია და ყოველთვის ესპანურ გუნდს გადაეყარა.

დიდი დანაკლისი არც ერთ გუნდს არ აქვს. ბარსა ადრიანოს მოისაკლისებს, ხოლო ატლეტიკო – ტიაგუს. მართალია, ტიაგუ გუნდისთვის დიდი ძალაა, მაგრამ ამ სეზონში თითქმის არ გამოსულა მოედანზე.

**მსაჯები გერმანელები არიან:** ფელიქს ბრიხი (მთავარი); მარკ ბორში, შტეფან ლუპი (ასისტენტები); ბასტიან დანკერტი, მარკო ფრიტცი (დამხმარე ასისტენტები); მარკო აქმიულერი (მეოთხე);

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ბარსელონა:** ტერ შტეგენი, ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა, ბუსკეტსი, რაკიტიჩი, ინიესტა, ნეიმარი, მესი, სუარესი

**ატლეტიკო:** ობლაკი, ხუანფრანი, გოდინი, ფელიპე ლუისი, ხიმენესი, გაბი, ნიგესი, კორეა, კოკე, გრიზმანი, ტორესი

**ბაიერნი – ბენფიკა 1.2 6.0 17.0**

ბავარიული კლუბი მზად არის ზედიზედ მეხუთედ გავიდეს ნახევარფინალში, სადაც ბენფიკა 1990 წლის შემდეგ არ ყოფილა.

ბაიერნი ამავე ეტაპზე გასულ სეზონშიც პორტუგალიურ გუნდს შეხვდა. მაშინ მეტოქედ პორტუ ჰყავდა და მისი ბარიერი იოლად დაძლია.

ბაიერნის და ბენფიკას ურთიერთობა სათავეს 1976 წლიდან იღებს. სტუმრად უგოლო ფრეს შემდეგ, ბავარიელებმა შინ 5:1 მოიგეს. თითქმის ანალოგიური შემთხვევა იყო 1981 წელსაც – პორტუგალიაში ისევ 0:0, გერმანიაში კი ბაიერნი 4:1 მოიგო. 1995 წელს კი ბავარიელებმა 4:1 და 3:1 მოუგეს მეტოქეს. ასე რომ, ურთიერთშეხვედრებში გერმანული კლუბის უპირატესობა აშკარაა.

ბაიერნს ჰოლგერ ბადშტურბერი და ჟერომ ბოატენგი არ ეყოლება ტრავმის გამო. ბენფიკას ლაზარეთში კი ლუიზაო, ჟულიო სეზარი და ლისანდრო ლოპესია.

**მსაჯები პოლონეთიდან არიან:** შიმონ მარჩინიაკი (მთავარი); პაველ სოკოლონიცკი, ტომაშ ლიკსტევიჩი (ასისტენტები); პაველ რაჩკოვსკი, ტომაშ მუსიალი (დამატებითი ასისტენტები), რადოსლავ სეიკა (მეოთხე);

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, ბენატია, ბერნატი, ალაბა, ალონსო, კოსტა, ვიდალი, რობენი, მიულერი, ლევანდოვსკი

**ბენფიკა:** ედერსონი, სემედუ, ელიზაუ, ჟარდელი, ალმეიდა, ფეისა, სამარისი, გაიტანი, პიცი, ხიმენესი, ჟონასი

## ბექა ღვინიაშვილმა სამსუნის გრან პრი მოიგო და ოლიმპიადისკენ გაიწია



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა სამსუნის გრან პრი ოქროს ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო მედლით ჩაამთავრა. ირაკლი უზნაძის გაწვრთნილმა გუნდმა სამივე მედალი ბოლო დღეს მოიპოვეს.

ჩემპიონი 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ბექა ღვინიაშვილი გახდა, ხოლო მძიმეწონოსნებმა, ლევან მატიაშვილმა და ადამ ოქრუაშვილმა კი მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

სამსუნში ფაქტობრივად გაირკვა, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები რიოს ოლიმპიურ თამაშებზე სრული გუნდით გამოვა. ბექა ღვინიაშვილმა ოლიმპიურ ჩათვლაში 300 სალიცენზიო ქულა მოიპოვა, რაც საკმარისი იქნება რიოში გასამგზავრებლად.

ბექამ ფინალამდე ოთხი მეტოქის – თურქი ენექ თათარის, აზერბაიჯანელი ელმარ გასიმოვის, ბრიტანელი ბენჯამინ ფლეჩერის და არაბთა გაერთიანებული საემიროების წარმომადგენლის ივან რემარენკოს დასამარცხებლად ღვინიაშვილს სულ ოთხ წუთზე ოდნავ მეტი დასჭირდა.

გადამწყვეტ ბრძოლაში კი ბრაზილიელ რაფაელ ბუზაკარინისთან სრული საჭიდაო დრო – 5 წუთი გამოიყენა და მეტოქეს იუკოს უპირატესობით აჯობა.

თბილისის გრან პრისგან განსხვავებით, სამსუნში ქართველი მძიმეწონოსნებიც გაცილებით ყოჩაღად გამოვიდნენ.

ლევან მატიაშვილმა ფინალამდე თურქი ფეიაზ იაზიჩის, ბრაზილიელი რაფაელ სილვასა და ყირგიზი იური კრაკოვეცკის იპონებით მოუგო. ფინალში კი, თანამედროვე ძიუდოს სუპერვარსკვლავს – მსოფლიოს 8-გზის, ევროპის 4-გზის და ოლიმპიურ ჩემპიონ ტედი რინერს დაუპირისპირდა.

ფავორიტი, ცხადია, ფრანგი მძი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## პეტრიაშვილი და მწითური ევროპის ჩემპიონები არიან



თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მეორე გუნდური ადგილი

წარმატებით დაასრულა ასპარეზობა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ბულგარულ რუსეში 23-წლამდელთა შორის გამართულ ევროპის ჩემპიონატზე. ემზარი ბედინეიშვილის ხელმძღვანელობით ჩვენმა ნაკრებმა თითო ოქრო-ვერცხლის, 3 ბრინჯაოს მედალი და გუნდური მეორე ადგილი მოიპოვა.

ევროპის ჩემპიონი ქართველი მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი მიმდინარე წელს მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი, ამჯერად, 23-წლამდელთა შორის. ვერცხლის მედალი ირაკლი მწითურმა (86) მოიპოვა, ბრინჯაოს მედლებს კი შოთა ფარტენაძე (61), დავით ბუზიაშვილი (70) და გივი მაჭარაშვილი დაეუფლნენ.

პეტრიაშვილმა ზედიზედ სამ მეტოქეს მოუგო ქულების აშკარა უპირატესობით, ფინელი ტაპანი ჰეინოს 3 წუთში – 11:0, ბელარუს ვიტალი პიასნიაკს 2 წუთში – 10:0 და თურქ იუნუს ემრე დედეს 3:15 წუთში – 10:0. ფინალში გენომ უკრაინელ დანილო კარტავის 9:4 მოუგო.

საფინალო გზაზე 3 მეტოქე დაამარცხა მწითურმაც. მან ჯერ სლოვაკ მიხაელ ბოდნარს 2:51 წუთში 11:0 სძლია, შემდეგ ბულგარელ ეველინ რუსევს 2:20 წუთში სუფთად მოუგო, ხოლო ნახევარფინალში, დაძაბულ ორთაბრძოლაში თურქი კადირ იაზიცი 5:4 დაამარცხა.

ფინალში ჩვენებურის მეტოქე, რუსების დაუმარცხებელი ფალავანი, 2-გზის მსოფლიოს ჩემპიონი, რუსი აბდულრაშიდ სადულაევი იყო. საბოლოოდ, ჩვენებური 4:15 დამარცხდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ფარტენაძემ საწყის 2 შეხვედრაში იოლად სძლია რუმინელ დავიდ დობრეს და მაკედონიელ რაფიკ კამბერს, შესაბამისად, 10:0 და 12:2, ხოლო ნახევარფინალში რუს იმამ აჯიევთან 1:6 დამარცხდა, ბრინჯაოსთვის კი მოლდაველ მიხაელ ესანუს 8:0 მოუგო.

ბუზიაშვილი პირველივე შეხვედრაში დამარცხდა მომავალ ფინალისტ აზერბაიჯანელ ჰაჯიმურად ომარვთან 2:4 და სანუგეშო წრეში გადაერთო, სადაც 5:1 მოუგო მოლდაველ ნიკოლაი ჩირეაკოვს, ხოლო ბრინჯაოს მედლისათვის უკრაინელ ვასილ მიხაილოვს გაუსწორდა – 8:0.

ბრინჯაოს მედალი გივი მაჭარაშვილმა (97) მოიპოვა, რომელმაც კვიპროსელი ალექსიოს კუსლიდისი 10:6 დაამარცხა. მედლამდე ერთი გამარჯვება დააკლდა ტარიელ გაფრინაშვილს (74), რომელიც ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ბელარუს რომან ჩიტაძესთან დაძაბულ შეხვედრაში 14:16 დამარცხდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 54 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, პირველზე რუსეთი გავიდა 64 ქულით, ხოლო მესამეზე – თურქეთი 51 ქულით.

## შედეგები

3 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლესტერი-საუთჰემპტონი ... 1:0
მანჩესტერი-ევერტონი ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 32 | 20 | 9 | 3 | 55-31 | 69 |
| 2.ტოტენჰემი | 32 | 17 | 11 | 4 | 57-25 | 62 |
| 3.არსენალი | 31 | 17 | 7 | 7 | 52-30 | 58 |
| 4.სიტი | 31 | 16 | 6 | 9 | 56-32 | 54 |
| 5.მანჩესტერი | 31 | 15 | 8 | 8 | 39-27 | 53 |
| 6.ვესტ ჰემი | 31 | 13 | 12 | 6 | 49-37 | 51 |
| 7.საუთჰემპტონი | 32 | 13 | 8 | 11 | 41-33 | 47 |
| 8.სტოკი | 32 | 13 | 8 | 11 | 36-39 | 47 |
| 9.ლივერპული | 30 | 12 | 9 | 9 | 46-41 | 45 |
| 10.ჩელსი | 31 | 11 | 11 | 9 | 49-41 | 44 |
| 11.ვესტ ბრომვიჩი | 31 | 10 | 10 | 11 | 30-37 | 40 |
| 12.ევერტონი | 30 | 9 | 11 | 10 | 51-42 | 38 |
| 13.ბორნმუთი | 32 | 10 | 8 | 14 | 38-54 | 38 |
| 14.უოტფორდი | 31 | 10 | 7 | 14 | 30-36 | 37 |
| 15.სუონსი | 32 | 9 | 10 | 13 | 33-42 | 37 |
| 16.კრ.პალასი | 31 | 9 | 7 | 15 | 34-42 | 34 |
| 17.ნორვიჩი | 32 | 8 | 7 | 17 | 35-56 | 31 |
| 18.სანდერლენდი | 31 | 6 | 9 | 16 | 36-55 | 27 |
| 19.ნიუკასლი | 31 | 6 | 7 | 18 | 31-58 | 25 |
| 20.ასტონ ვილა | 32 | 3 | 7 | 22 | 22-62 | 16 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-გრანადა ... 1:1
მალაგა-ესპანიოლი ... 1:1
ეიბარი-ვილიარეალი ... 1:2
სევილია-სოსიედადი ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 31 | 24 | 4 | 3 | 87-26 | 76 |
| 2.ატლეტიკო | 31 | 22 | 4 | 5 | 51-15 | 70 |
| 3.რეალი | 31 | 21 | 6 | 4 | 89-29 | 69 |
| 4.ვილიარეალი | 31 | 16 | 9 | 6 | 39-26 | 57 |
| 5.სელტა | 31 | 14 | 7 | 10 | 44-52 | 49 |
| 6.ბილბაო | 31 | 14 | 6 | 11 | 49-40 | 48 |
| 7.სევილია | 31 | 13 | 9 | 9 | 44-37 | 48 |
| 8.მალაგა | 31 | 10 | 10 | 11 | 30-29 | 40 |
| 9.ეიბარი | 31 | 10 | 8 | 13 | 43-44 | 38 |
| 10.სოსიედადი | 31 | 10 | 8 | 13 | 39-42 | 38 |
| 11.დეპორტივო | 31 | 7 | 16 | 8 | 40-44 | 37 |
| 12.ლას პალმასი | 31 | 10 | 6 | 15 | 34-43 | 36 |
| 13.ესპანიოლი | 31 | 10 | 6 | 15 | 32-57 | 36 |
| 14.ბეტისი | 31 | 8 | 10 | 13 | 28-45 | 34 |
| 15.ვალენსია | 31 | 8 | 10 | 13 | 34-38 | 34 |
| 16.რაიო | 31 | 7 | 10 | 14 | 43-63 | 31 |
| 17.გრანადა | 31 | 7 | 8 | 16 | 33-57 | 29 |
| 18.ხეტაფე | 31 | 7 | 7 | 17 | 28-54 | 28 |
| 19.ხიხონი | 30 | 7 | 6 | 17 | 32-52 | 27 |
| 20.ლევანტე | 30 | 6 | 6 | 18 | 28-54 | 24 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიმნასტიკი-კორდობა ... 4:4
ხირონა-ოსასუნა ... 0:0
ნუმანსია-უესკა ... 3:2
ტენერიფე-ლუგო ... 1:0
ვალიადოლიდი-ალმერია ... 1:1
ალბასეტე-ალავესი ... 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

გლადბახი-ჰერტა ... 5:0
ჰოფენჰაიმი-კიოლნი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 28 | 23 | 3 | 2 | 66-13 | 72 |
| 2.დორტმუნდი | 28 | 21 | 4 | 3 | 67-28 | 67 |
| 3.ჰერტა | 28 | 14 | 6 | 8 | 37-32 | 48 |
| 4.გლადბახი | 28 | 14 | 3 | 11 | 59-44 | 45 |
| 5.ლევერკუზენი | 28 | 13 | 6 | 9 | 42-33 | 45 |
| 6.მაინცი | 28 | 13 | 5 | 10 | 39-35 | 44 |
| 7.შალკე | 28 | 13 | 5 | 10 | 39-38 | 44 |
| 8.ვოლფსბურგი | 28 | 10 | 8 | 10 | 39-37 | 38 |
| 9.ინგოლშტადტი | 28 | 9 | 9 | 10 | 26-31 | 36 |
| 10.ჰამბურგი | 28 | 9 | 7 | 12 | 34-38 | 34 |
| 11.კიოლნი | 28 | 8 | 10 | 10 | 29-35 | 34 |
| 12.შტუტგარტი | 28 | 9 | 6 | 13 | 45-56 | 33 |
| 13.დარმშტადტი | 28 | 6 | 11 | 11 | 30-43 | 29 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 28 | 6 | 10 | 12 | 31-44 | 28 |
| 15.ვერდერი | 28 | 7 | 7 | 14 | 38-57 | 28 |
| 16.აუგსბურგი | 28 | 6 | 9 | 13 | 35-47 | 27 |
| 17.აინტრახტი | 28 | 6 | 9 | 13 | 29-44 | 27 |
| 18.ჰანოვერი | 28 | 5 | 2 | 21 | 22-52 | 17 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფრანკფურტი-ნიურნბერგი ... 0:3
კაიზერი-ზანდჰაუზენი ... 2:0
კარლსრუე-მიუნხენ 1860 ... 3:1

**იტალია. სერია ა**

უდინეზე-ნაპოლი ... 3:1
ჯენოა-ფროზინონე ... 4:0
ატალანტა-მილანი ... 2:1
კიევო-პალერმო ... 3:1
ლაციო-რომა ... 1:4
ფიორენტინა-სამპდორია ... 1:1
ინტერი-ტორინო ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 31 | 23 | 4 | 4 | 56-16 | 73 |
| 2.ნაპოლი | 31 | 20 | 7 | 4 | 63-27 | 67 |
| 3.რომა | 31 | 18 | 9 | 4 | 66-32 | 63 |
| 4.ფიორენტინა | 31 | 16 | 8 | 7 | 51-33 | 56 |
| 5.ინტერი | 31 | 16 | 7 | 8 | 41-30 | 55 |
| 6.მილანი | 31 | 13 | 10 | 8 | 41-33 | 49 |
| 7.სასუოლო | 31 | 12 | 12 | 7 | 40-34 | 48 |
| 8.ლაციო | 31 | 11 | 9 | 11 | 39-42 | 42 |
| 9.კიევო | 31 | 11 | 8 | 12 | 37-40 | 41 |
| 10.ჯენოა | 31 | 10 | 7 | 14 | 36-37 | 37 |
| 11.ტორინო | 31 | 9 | 9 | 13 | 39-43 | 36 |
| 12.ბოლონია | 30 | 10 | 6 | 14 | 30-35 | 36 |
| 13.ატალანტა | 31 | 9 | 9 | 13 | 30-36 | 36 |
| 14.ემპოლი | 31 | 9 | 9 | 13 | 34-43 | 36 |
| 15.უდინეზე | 31 | 9 | 7 | 15 | 29-46 | 34 |
| 16.სამპდორია | 31 | 8 | 9 | 14 | 44-49 | 33 |
| 17.კარპი | 31 | 6 | 10 | 15 | 29-49 | 28 |
| 18.პალერმო | 31 | 7 | 7 | 17 | 29-54 | 28 |
| 19.ფროზინონე | 31 | 7 | 6 | 18 | 29-59 | 27 |
| 20.ვერონა | 30 | 2 | 13 | 15 | 26-51 | 19 |

**იტალია. სერია ბ**

ნოვარა-სალერნიტანა ... 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-ლილი ... 0:3
ბასტია-მარსელი ... 2:1
ლორიანი-ლიონი ... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 32 | 25 | 5 | 2 | 81-18 | 80 |
| 2.მონაკო | 32 | 14 | 13 | 5 | 47-36 | 55 |
| 3.ლიონი | 32 | 15 | 7 | 10 | 52-34 | 52 |
| 4.რენი | 32 | 13 | 12 | 7 | 50-39 | 51 |
| 5.ნიცა | 32 | 14 | 8 | 10 | 47-37 | 50 |
| 6.სტ.ეტიენი | 32 | 14 | 6 | 12 | 38-34 | 48 |
| 7.ლილი | 32 | 11 | 13 | 8 | 29-24 | 46 |
| 8.კაენი | 32 | 14 | 4 | 14 | 34-42 | 46 |
| 9.ანჟე | 32 | 12 | 9 | 11 | 35-32 | 45 |
| 10.ნანტი | 32 | 11 | 11 | 10 | 29-33 | 44 |
| 11.ბასტია | 32 | 12 | 7 | 13 | 31-33 | 43 |
| 12.ბორდო | 32 | 10 | 12 | 10 | 41-50 | 42 |
| 13.მარსელი | 32 | 8 | 15 | 9 | 43-38 | 39 |
| 14.ლორიანი | 32 | 9 | 12 | 11 | 43-50 | 39 |
| 15.გენგამი | 32 | 10 | 9 | 13 | 39-47 | 39 |
| 16.მონპელიე | 32 | 10 | 7 | 15 | 38-40 | 37 |
| 17.რეიმსი | 32 | 8 | 9 | 15 | 35-47 | 33 |
| 18.გაზელეკი | 32 | 7 | 12 | 13 | 31-45 | 33 |
| 19.ტულუზა | 32 | 6 | 11 | 15 | 34-49 | 29 |
| 20.ტრუა | 32 | 2 | 8 | 22 | 22-71 | 14 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ნაიმეგენი-ვიტესი ... 2:1
დენ ჰააგი-გრონინგენი ... 0:1
როდა-ჰერენვენი ... 1:2
აიაქსი-ზვოლე ... 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მადეირა-სეტუბალი ... 2:2
ეშტორილი-ფეირენსე ... 1:0
მორეირენსე-რიუ ავე ... 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ლოკომოტივი-რუბინი ... 1:0
ზენიტი-ცსკა ... 2:0

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

აბერდინი-ჰამილტონი ... 3:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-სიონი ... 0:6
თუნი-გრასჰოპერსი ... 2:1
ბაზელი-იანგ ბოიზი ... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-ზალცბურგი ... 1:1

**ბელგია. იუპილიგა**

**ჩემპიონთა ლიგის ზონა**

ანდერლეხტი-გენკი ... 1:0

**ევროპა ლიგის ზონა**

ბევერენი-სტანდარდი ... 0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-პანეთოლიკოსი ... 1:0
ირაკლისი-ასტერასი ... 0:1
კალონი-აეკი ... 0:0
ლევადიაკოსი-იანინა ... 1:1
ოლიმპიაკოსი-პანთრათიკოსი ... 4:0
პანათინაიკოსი-ვერია ... 3:2
პანიონიოსი-პაოკი ... 3:1
პლატანიასი-ქსანთი ... 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაკშეჰირი-მერსინი ... 3:0
სივასი-ბურსა ... 1:2
ანთალია-აკჰისარი ... 2:2
ფენერბახჩე-ოსმანლი ... 0:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

დუკლა-სლავია ... 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-პიასტი ... 4:1
რუხი-ვისლა ... 2:3

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-რანდერსი ... 0:1
კოპენჰაგენი-სონდერიისკე ... 1:0
მიდტიულანდი-ბრონდბიუ ... 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-სუნდსვალდი ... 1:1
გეფლე-ჰელსინბორგი ... 1:1
ჰაკენი-ელფსბორგი ... 2:1
ფალკენბერგი-გიოტებორგი ... 0:2
იორებრო-დიურგარდენი ... 0:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ოდ გრელანდი-ტრომსო ... 0:0
ალესუნდი-ბრაი ... 1:2
ბოდო გლიმტი-სტაბეკი ... 3:1
სარპსბორგი-სონგდალი ... 0:0
სტრომგოდსეტი-ჰაუგესუნდი ... 2:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# კალიფორნიელი პოლიციელი უსახლკარო გოგონას კლასობანას ეთამაშა



კალიფორნიის შტატის ქალაქ ჰანტინგტონ-ბიჩის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი უსახლკარო გოგონას კლასობანას ეთამაშა.

ფეისბუქში, პოლიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გაკეთებულ განმარტებაში ნათქვამია, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა საეჭვო ტრანსპორტის შემოწმებისას აღმოაჩინეს, რომ 11 წლის გოგონასა და მის დედას არ ჰქონდათ საკუთარი საცხოვრებელი და ისინი ავტომობილში ცხოვრობენ.

უსახლკარო ოჯახთან გასაუბრების შემდეგ პოლიციელები დაუკავშირდნენ ორგანიზაციას, რომელმაც გარკვეულ დროში საცხოვრებლით უნდა უზრუნველყოს უსახლკარო ადამიანები.

სანამ ისინი თავისუფალი აპარტამენტების თაობაზე გაგზავნილ შეკითხვაზე პასუხს ელოდნენ, ერთ-ერთმა პატრულმა გადაწყვიტა, გოგონა თამაშით გაერთო. მათი თამაშის ვიდეოჩანაწერი ასევე გამოქვეყნებულ იქნა ფეისბუქში, რომელმაც ერთ დღე-ღამეში 745 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა.

# მთვრალმა ნარკოდილერმა კოკაინის მოპარვის თაობაზე პოლიციას მიმართა



დიდ ბრიტანეთში 23 წლის მამაკაცს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ნარკოტიკების შენახვისა და გავრცელებისთვის. დენიელ ბარკერმა პოლიციას საკუთარი თავი თავადვე ჩაუგდო ხელში, როდესაც მათ მისთვის კოკაინის მოპარვის თაობაზე განცხადებით მიმართა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გასული წლის ივლისში ქალაქ კარლაილის ერთ-ერთ პარკში ბარკერს თავს ორი მამაკაცი დაესხა და გაძარცვეს. მან დახმარებისთვის პოლიციას მიმართა და აცნობა, რომ ბოროტმოქმედებმა მას კოკაინი მოჰპარეს, რომლის მათთვის მიყიდვასაც ის აპირებდა.

– ახალგაზრდა ვერ იხსენებდა მომხდარის დეტალებს, ვინაიდან ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში იმყოფებოდა, – აღნიშნა პროკურორმა ჟერარ როჯერსონმა.

დაკავებისას ბარკერმა აღიარა, რომ მას კოკაინის გარკვეული რაოდენობა დარჩა და, ასევე, ნარკოტიკები სახლშიც ჰქონდა შენახული. პოლიციელებმა მამაკაცის ჩანთაში კოკაინის სამი შეკვრა აღმოაჩინეს, რომლის ღირებულება 88 ფუნტად შეფასდა. ახალგაზრდა დააპატიმრეს.

პატიმრობის გარდა, ბარკერს ასევე 200 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულება დაეკისრა.

# სირიელი ლტოლვილების კატა პატრონებს კანადაში შეუერთდა



სირიელი ლტოლვილების კატა შერი თავის პატრონებს კანადაში შეუერთდა. საბრძოლო მოქმედებებს გამოქცეული ოჯახი კანადაში საცხოვრებლად მიმდინარე თებერვალში გადავიდა, მაგრამ მაშინ ცხოველის ქვეყანაში შეყვანის უფლება არ მისცეს.

თავდაპირველად შერის პატრონებმა სამშობლო დატოვეს და იორდანიაში ლტოლვილთა ბანაკში დაბანაკდნენ, სადაც კატაც წაიყვანეს.

– შერი ჩვენთან ერთად გადადიოდა ერთი ქალაქიდან მეორეში, ბინიდან კარავში, – განაცხადა კატის პატრონმა ნილა აშ-შატირმა.

როდესაც ოჯახმა კანადაში მიგრაციის უფლება მიიღო, აშ-შატირმა კატა ბანაკში ნაცნობებს დაუტოვა. მათ უნდა ეზრუნათ ცხოველზე, სანამ ის მისთვის კანადაში ჩაყვანის უფლებას მოიპოვებდა.

თვე-ნახევრის შემდეგ, საბუთების გაფორმებისა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ, კატა პატრონებს დაუბრუნდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# იაია ტურე მანჩესტერ სიტიდან წასვლას აპირებს



მანჩესტერ სიტის კოტ დივუარელი ნახევარმცველი იაია ტურე სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს. ამის შესახებ განცხადება ფეხბურთელის აგენტმა გააკეთა.

წასვლის მიზეზი ის არის, რომ ტურე ხოსეპ გვარდიოლას გეგმებში არ ჯდება. ჯერჯერობით უცნობია, რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას იაია, თუმცა როგორც მისი აგენტი ამბობს, ტურეთი ბევრი კლუბია დაინტერესებული.

განსაკუთრებულ ინტერესს მილანის ინტერი იჩენს, რომელსაც დიდი ხანია სურს, რომ ტურე თავის გუნდში იხილოს.

მიუხედავად ამისა, კოტ დივუარელი ნახევარმცველის მომავალი ჯერჯერობით მაინც გაურკვეველია.

# ჟერარ პიკე: „ატლეტიკოსთვის სერიოზულად ვემზადებით“



ბარსელონას ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ განაცხადა, რომ მისი გუნდი ატლეტიკოსთან შეხვედრისთვის განსაკუთრებით ემზადება, რადგან გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაცია სურს რეალთან მარცხის გამო.

პიკეს თქმით, ბარსელონამ იმ მარცხხისგან კარგი გაკვეთილი მიიღო და მომავალში შეცდომებს აღარ გაიმეორებს.

შეგახსენებთ, რომ ბარსელონამ ელ-კლასიკო საკუთარ მოედანზე 1:2 დათმო.

რაც შეეხება ატლეტიკოსთან დაპირისპირებას ის 5 აპრილს კამპ ნოუზე გაიმართება და მატჩის წინ ბარსელონა ფავორიტია, თუმცა უშანსოდ არც დიეგო სიმეონეს კოლექტივია.

განმეორებითი შეხვედრა ამ ორ გუნდს შორის 13 აპრილს ვისენტე კალდერონზე ჩატარდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# ანტონიო კონტე ჩელსიში იმუშავებს



ლონდონის ჩელსის მომავალი სეზონიდან ანტონიო კონტე უხელმძღვანელებს. ინფორმაციას „არისტოკრატების“ ვებგვერდი ავრცელებს. იტალიელმა სპეციალისტმა ჩელსისთან 3 წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ინგლისური კლუბის ვებგვერდმა იტალიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელის კომენტარი განათავსა.

**ანტონიო კონტე:**

– ბედნიერი ვარ მიღწეული შეთანხმებით, ამჟამად მხოლოდ იტალიის ეროვნულ ნაკრებზე ვარ კონცენტრირებული, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი ჩელსიში'მუშაობას მოუთმენლად ველი.

ამჟამად ჩელსის გუუს ჰიდინკი ხელმძღვანელობს, რომელიც სეზონის დასრულების შემდეგ კლუბს დატოვებს.

# ბექა ღვინიაშვილმა სამსუნის გრან პრი მოიგო და ოლიმპიადისკენ გაიწია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მეწონოსანი იყო, მაგრამ რთული ბრძოლა გადახდა ჩვენებურთან. შეიძლება ითქვას, რომ მსაჯებისგანაც გრძნობდა სიმპათიას, რადგან ქართველი ძიუდოისტი რამდენჯერმე არასწორად გააფრთხილეს. ამიტომაც, ბოლო წამებზე ორი გაფრთხილებით უკან მყოფი ქართველი რისკზე წავიდა და კონტრ-ილეთზე წამოეგო.

ლევან მატიაშვილმა პირად რეიტინგს 180 ქულა შემატა.

ადამ ოქრუაშვილმა ტურნირი ყაზახ იერჟან შინკეივიჩთან მოგებით დაიწყო, მეოთხედფინალში კი ბრაზილიელ დავიდ მოურასთან ვაზარი შეასრულა, მაგრამ იქვე შებოჭვაზე მოჰყვა და რეპეშაჟში გადაერთო, სადაც ორი სუფთა გამარჯვება მოიპოვა. ჯერ ავსტრიელი დანიელ ალერშტორფერი შებოჭა, ხოლო შემდეგ – ყირგიზი იური კრაკოვეცკი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**


## მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის ფეხებში სიმძიმესა და დაჭიმულობას.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**მობ. ტელ: 599-73-48-21**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.


# ასტროპროგნოზი

## 5 აპრილისთვის



**ვერძი** – კომერციული საქმიანობისათვის ძალზე კარგი პერიოდი გიდგათ. გაამართლებს ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია. სხვების რჩევებს ყურად ნუ იღებთ. **კურო** – აქტიურად დაისვენეთ, ასევე დაკავდით შემოქმედებითი საქმიანობით. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სასიკეთოდ წაგადგებათ. **ტყუპები** – ძველი პრობლემების მოსაგვარებლად ახალ მეთოდებს მიმართეთ. მიენდეთ ინტუიციას. **კირჩხიბი** – დღეს არასასურველია ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები. დაისვენეთ მშვიდად მყუდრო გარემოში, შინაურების წრეში. **ლომი** – ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ. ახალი ნაცნობობა თქვენს საქმიანობაზე არაკეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს.**ქალწული** – მოსალოდნელია მცირეოდენი უსიამოვნება და კამათი ოჯახის წევრებთან. უმჯობესია, თუ კომპრომისზე წახვალთ. **სასწორი** – დღეს განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია და მიხვდებით, ვინ არის თქვენი მტერი და ვინ – მოყვარე. **ღრიანკალი** – წარსულის ნეგატიური ზეგავლენისგან მალე გათავისუფლდებით. ახალი ნაცნობობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, იდეების რეალიზაციისათვის. მოუსმინეთ შინაგან ხმას. **თხის რქა** – ჯანმრთელობას არ უჩივით. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. მიზანს იოლად მიაღწევთ. **მერწყული** – აქტიურად დაისვენეთ. ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, ივარჯიშეთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობა ჰარმონიულია.**თევზები** – მაქსიმალურად შეიკავეთ ემოციები. ნუ აჰყვებით ჭორებს. არ აჩქარდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ნედლი თევზისგან მომზადებული იაპონური კერძი; 2. რაიონული ცენტრი რაჭაში; 3. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 4. მუსიკალური გამის მეშვიდე ბგერა; 5. ბიზნესი, სავაჭრო საქმიანობა; 6. ფიჯის დედაქალაქი; 7. წყალსაცავი მდინარე არაგვზე; 10. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი ინჟინერი; 11. უბანი ქუთაისში; 12. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 13. პატარა ტანის ცხენი; 16. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 18. ქუჩის ძველი სახელწოდება საქართველოში; 19. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 21. ეკლესიიდან განდგომილი რელიგიური ჯგუფი; 24. ფულის ერთეული ინდოეთში.

**თარაზულად:** 1. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად; 3. შემაგრებული ესპანური ღვინო; 8. დამატებითი ჯილდო, პრემია; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. მოქანდაკის ხის საჭრეთელი; 15. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 17. ერთგულების მტკიცე პირობა; 20. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 22. მონასტერი ოჩამჩირეს რაიონში; 23. მშიშარა, მხდალი ადამიანი; 25. სახოტბო ლექსი; 26. ფრანგი მეზღაპრე; 27. ესპანელი ფერმწერი; 28. ბავშვთა დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ინდიგო; 5. მაკარონი; 6. კირხე; 7. აპარატი; 8. ათლეტი; 10. „სარკე“; 13. ნაგანი; 15. ლუსტრა; 16. დარი; 17. პიცა; 20. ნადირი; 21. პიმები; 22. კალვილი; 23. იქედნე.

**შვეულად:** 1. დიზაინი; 2. ნაფთალინი; 3. პირამიდა; 4. იმპორტი; 5. მარანი; 9. ტატამი; 11. კადრილი; 12. პარადი; 14. გრანული; 18. ალალი: 19. სირია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ძუა; 2. ხმა; 3. რომი; 4. უხა; 5. მორფემა; 6. ამტანი; 7. ტარაბუა; 8. აქტი; 9. იიპე; 10. ფხა; 11. ჩაი; 12. მონარქი; 13. პარამარიბო; 14. ჰარპია; 15. პენ; 16. ოსაკა; 17. კონტაქტი; 18. მოჰიკანი; 19. პროსტატა; 20. კამუფლაჟი; 21. ფარაონი; 22. ჟენევა; 23. ისინდი; 24. პაემანი; 25. აია; 26. ბუი; 27. არ; 28. ვარდი; 29. მარაბუ; 30. მთა; 31. ნაბლა; 32. ალური.

**სურათებზე:** ჯულია ორმონდი; რობერ პირესი.

# როზი უილიამსი 27 მაისს „დინამო არენაზე" იმღერებს



მსოფლიოში ცნობილი მომღერალი რობი უილიამსი საქართველოში კონცერტს 27 მაისს გამართავს. ბრიტანელი მუსიკოსი თბილისში „დინამო არენაზე" იმღერებს. ინფორმაცია ინტერნეტში მომღერლის მხარდამჭერმა ჯგუფმა გრუვსონიქსმა გაავრცელა. როგორც ჯგუფის ოფიციალურ ტვიტერზე წერია, რობი უილიამსის კონცერტს მხარს სწორედ ეს ჯგუფი დაუჭერს:

— მოხარული ვართ, გამოვაცხადოთ, რომ რობი უილიამსს მხარს დავუჭერთ 27 მაისს, დინამო არენაზე, თბილისში, საქართველოში.

მომღერალი თბილისში განსაკუთრებული პროგრამით ჩამოვა. ის დინამო არენაზე შეკრებილი მსმენელისთვის უკვე ცნობილ ჰიტებთან ერთად, ახალ სიმღერებსაც შეასრულებს.

უილიამსის კონცერტამდე კი თბილისელ მსმენელს კიდევ ერთი ვარსკვლავის, ეროს რამაზოტის კონცერტზე დასწრების საშუალება მიეცემა. იტალიელი ვარსკვლავი სპორტის სასახლეში 27 აპრილს იმღერებს.

ორივე კონცერტი საქართველოს მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციის ფარგლებში იმართება. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მსოფლიოს ცნობილი ვარსკვლავების საქართველოში ჩამოსაყვანად, კულტურის სამინისტროს საჭირო ფინანსები უკვე გამოუყო.

გავრცელებული ინფორმაციით, მთელი წლის განმავლობაში საქართველოში არაერთი ცნობილი ვარსკვლავი ჩამოვა, რომლებიც კონცერტებს არა მარტო თბილისში, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსა და რეგიონებშიც გამართავენ.

# ბელა მირიანაშვილს 78 წელი შეუსრულდებოდა




ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეულ მსახიობს ბელა მირიანაშვილს 78 წელი შეუსრულდებოდა. მისი დაბადების დღე მსახიობის ოჯახის წევრებისთვის დიდ ტკივილთან არის დაკავშირებული. როგორც წესი, მის მეუღლეს კახი კავსაძეს წესად აქვს, რომ საყვარელი მეუღლის დაბადების დღეზე მის საფლავზე ადის და ყვავილები მიაქვს.

ბელა მირიანაშვილი რუსთაველის თეატრში მუშაობდა და მთელი ცხოვრება ამ თეატრის ერთგული დარჩა. მან და კახი კავსაძემ ერთმანეთი ამ თეატრში გაიცნეს. კახი კავსაძე ხშირად იხსენებს, მეოთხე კურსზე იყო, როცა ინსტიტუტის ფოიეში თვალი რომ მოჰკრა ბელა მირიანაშვილს და თვალთ დაუბნელდა. კახი კავსაძე დიდხანს უხმოდ ეტრფოდა საყვარელ ქალს და დიდხანს ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა. საბოლოოდ გადაწყვიტა მსახიობმა თავისი გრძნობების აფიშირება და მეგობრებთან ვახშამზე მისულმა საჯაროდ განაცხადა, გაიცანით, ეს ქალი ჩემი ცოლიაო. ბელა და კახი შეუღლდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბელა მირიანაშვილს უკვე ჰყავდა შვილი ნანუკა ხუსკივაძე, ამას წყვილის ბედნიერებისთვის ხელი არანაირად არ შეუშლია.

ირაკლი კავსაძეზე ორსულობა ბელა მირიანაშვილისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ხუთი თვის ორსული იყო, როცა ავად გახდა, მაგრამ სიცხიანმა მაინც ითამაშა სპექტაკლში, რამაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია. მსახიობს ფილტვების ანთება დაემართა, მაგრამ ანტიბიოტიკებზე იმის შიშით თქვა უარი, ნაყოფს არ ავნოსო. მშობიარობის შემდეგ, ბელა მირიანაშვილის ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუარესდა და საბოლოოდ ის ლოგინს მიეჯაჭვა.

— მე ვიცოდი, რომ სცენაზე ველარ დავბრუნდებოდი და ამიტომ უფრო დიდი ზეამოცანა დავისახე მიზნად: რაც შეიძლება მაგრად დავხვედროდი ავადმყოფობას, რაც შეიძლება შორს გადამეწია მოსალოდნელი დასასრული, რომ ჩემი ოჯახისთვის დიდი ტრავმა არ მიმეყენებინა. და ვგონებ, ეს შევძელი კიდეც. ალბათ, სიყვარულმა შემაძლებინა. თუმცა თავს არაფრით ვიიმედებ. ვიცი, რომ წინ კიდევ უფრო რთული პერიოდი მომელის, — წერდა ბელა მირიანაშვილი.

ბელა მირიანაშვილმა დაავადებასთან ბრძოლაში 23 წელი გაატარა. მთელი ეს წლები მის გვერდით იყო მისი მეუღლე კახი კავსაძე. 1992 წლის აგვისტოს ბოლოს მან მოსკოვში გადაღებებზე მყოფ მეუღლეს დაურეკა და თბილისში ჩამოსვლა სთხოვა. რასაკვირველია, კახიც მაშინვე თბილისში გაჩნდა. ისინი ერთად შეხვდნენ მარიამობის დღესასწაულს და ამ დღესასწაულზე 54 წლის ასაკში ბელა მირიანაშვილი გარდაიცვალა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ასოციაცია მესხეთის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება ასოციაციის გამგეობის წევრის

**მანანა ყულჯანიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ქეთი დოლიძე: „წერა-კითხვა ისწავლეთ, ქალბატონებო და ბატონებო!"



რეჟისორი ქეთი დოლიძე საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოშვებულ ჟურნალ „ფილმ პრინტს" და მის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს და შეგნებულ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს.

**ქეთი დოლიძე:**

— საქართველოს კინოცენტრმა გადაწყვიტა რამდენიმე ფურცელი გადაწეროს ქართული კინოს უახლოეს ისტორიაში...

ასე განსაჯეთ და დიდის ამბით უკეთებენ რეკლამას თავის პირმშო ჟურნალს „ფილმ პრინტი". ნუ, ახლა, (უკაცრავად, „ნუ" უნდა წარმოთქვათ, თბილისელი „გოგოშკების" ტონით, ასევე პოპულარულია „ანუ"). ჰოდა, მოკლედ ამ ამერიკული სურნელით დასათაურებულ ჟურნალს უცნაური რედაქტორები ჰყავს.

ძლივს მაგონდება და ოდნავ მახსოვს, რომ 7 მხატვრული ფილმი მაქვს გადაღებული.

„ოღონდ მართლა!" — ესეც კლუბების მოყვარული „გოგოშკების" ტონით!

ჰოოოდა!!!! ბოლოს წინა ნომერი ღრმად პატივცემულმა გამოცემამ მიუძღვნა ქართველ ქალბატონ რეჟისორებს. ყველა, ყველა მოხვდა ამ ნომერში და ჩამონათვალში, თქვენი მონა-მორჩილის, ქეთი დოლიძის გარდა!

აფერუმ!

ჩემს გაოცებულ კითხვაზე, რედაქტორმა მიპასუხა, გამოგვრჩა, მაგრამ ახლა ამ ნომერს იტალიურად ვთარგმნით და უეჭველად გამოვასწორებთ, ჩაგწერთო!!!

ვაშა!!!! ეტყობა, „ჩინეჩიტას" უნდა შეახარბონ ჩემი თავი!!!

ასეა!

ეს არ იკმარეს!

ერთ-ერთ ნომერში, უვიცი, უნიჭო, ბოღმით და სიბოროტით სავსე ე.წ. რეცენზია-პასკვილი დაბეჭდეს ფილმზე „მექელეხე", რომელმაც (ჰოი, საოცრებავ!) „ოქროს პრომეთე" მიიღო თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე, ხოლო სტატიის სათაური გახლავთ: „თქვენ ჩემი მექელეხე გინახავთ?"

ახლა დადგა რიტორიკული შეკითხვის დრო.

მეც არ დაგინდობთ!!!!!!!

თქვენ, ცოტა ხომ არ გაჟრიალებთ??????

შეგნებულ შეურაცხყოფას ყოველთვის უნდა პასუხი!

წერა-კითხვა ისწავლეთ, ქალბატონებო და ბატონებო!

აქედან ვერ წამშლით!!!!!!

როგორც ზოგიერთს, თქვენც მოგმართავთ:

ასტა ლა ვისტა!!!!!!

# შორენა ბეგაშვილი: „ღმერთმა ევა მეორედ მაჩუქა"



გასული კვირა მსახიობისა და ტელეწამყვანის შორენა ბეგაშვილისთვის უკიდურესად მძიმე აღმოჩნდა. მისი 14 წლის გოგონა მეხუთე სართულიდან გადავარდა. ევა ბარბაქაძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა იქიდან იაშვილის კლინიკაში მოათავსეს და ხერხემალსა და კიდურებზე ურთულესი ოპერაციები ჩაუტარეს. ხერხემლის ოპერაცია 9 საათს გაგრძელდა, კიდურების ოპერაცია 4 საათს. იაშვილის კლინიკის ექიმებმა ნეიროქირურგმა ლადო წიქარიშვილმა და ტრავმატოლოგმა ირაკლი ვარძუკაშვილმა მოზარდს ოპერაცია ხერხემალზე გაუკეთეს, კლინიკის ტრავმატოლოგებმა მერაბ ვარძუკაშვილმა და ზურაბ ბერუაშვილმა კი — კიდურებზე.

მომხდარის შემდეგ შორენა ბეგაშვილმა პირველი კომენტარი გააკეთა:

— მადლობა ყველას გვერდში დგომისთვის. მადლობა ექიმებს. ღმერთმა ევა მეორედ მაჩუქა.

მოზარდი ამ დრომდე იაშვილის კლინიკაში რჩება და ამ ეტაპზე უცნობია, როდის გაწერენ ევას სახლში.

შორენა ბეგაშვილი „იღბლიან ბორბალში" დროებით მისმა მეგობარმა, მომღერალმა ნინა წკრიალაშვილმა შეცვალა. შოუს წამყვანები რატი დურგლიშვილი და ნინა წკრიალაშვილი არიან. მათ გადაცემის ჩაწერებზე შორენას და ევას გამოსახულებიანი მაისურები ჩაიცვეს და დედა-შვილს სოლიდარობა გამოუცხადეს. ერთ-ერთი კომპანიისგან კი ევამ საჩუქრად უზარმაზარი დათუნია მიიღო.

# სალომე ბაკურაძე დედა გახდება



მომღერალი სალომე ბაკურაძე, რომელიც ფართო მსმენელმა „ჯეოსტარიდან" გაიცნო, მალე დედა გახდება. მომღერალი და მისი მეუღლე ლაშა ბასლანძე წელიწადნახევრის წინ დაქორწინდნენ.

— ზუსტად წელიწადნახევრით ადრე, ლაშამ გამოიწერა „პირლოს" საბავშვო ბოდი „იუვენტუსის" ემბლემით, რომელიც საკუთარ პერანგებთან ერთად დაკიდა და თქვა, როცა შვილი გვეყოლება, ამას ჩაიცვამსო. აი, სწორედ მაშინ, როცა ჩემი ფეხმძიმობა შევიტყვე, გადავუღე ფოტო ბოდეს და მას გადავუგზავნე წარწერით: „მოემზადე!" — იხსენებს სალომე ბაკურაძე.

მომღერალი უკვე მეშვიდე თვეშია. ის კარგა ხანს საგულდაგულოდ მალავდა მუცელს და მისი ორსულობის შესახებ ფართო საზოგადოებამ არაფერი იცოდა. ორსულობას მისთვის ხელი არ შეუშლია, ისევ აქტიურად მიეღო კონცერტებში მონაწილეობა და საყვარელი საქმე ეკეთებინა.

სალომე ბაკურაძე და ლაშა ბასლანძე პატარას მაისში ელოდებიან.


# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები", მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს"

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


# პროგრამა

## სამშაბათი 5 აპრილი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 02.30 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "დღე მუზეუმში" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "ცხოვრება ციფრებში" 21.00 სოციალური თოქ-შოუ 22.00 "კომუნიკატორი" 22.02 ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. 22.40 **ფეხბურთი. ბარსელონა – ატლეტიკო** 00.40 მხ/ფ "**ბორცვებისა და ველების ქვეყანა**" (ვ.ჰარელსონი) 02.40 მხ/ფ "**დრაკონის გული**"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "პოლვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" 13.00 დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" 14.00, 16.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 ""მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 22.40 **ფეხბურთი. "ბაიერნი" – "ბენფიკა"** 00.40 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.20 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 2 სერ. 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 მხ/ფ. "**ჯაშუში სამეზობლოში**" 01.40 მხ/ფ. "**ნორბიტი**" (თ.ნიუტონი) 03.30 მხ/ფ. "**დევნილი**" (ტ.ლი ჯონსი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) 9.30, 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 10.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ძვლები**" 15.30 Discovery- მენტალისტი კით ბარი 16.30 აირჩიე კაბა - მეჯვარეები 17.00 ლომბარდის დედოფლები 20.30 20.30 22.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 23.30 მხ/ფ "**28 დღის შემდეგ**" 1.15 ID Extra - მოჩვენებებით შეპყრობილი 2.15 URBAN STORIES

06.10 სპექტაკლი "**ძველი ვალსი**" 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 0.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 დ/ფ "პლანეტა დედამიწა-ქვაბურები" 11.10 თაობა ზეტი 11.30 წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.10 მხ/ფ "**მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ**" 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართ ან/ფ 15.30 ყველაზე, ყველაზე..."დიდი საოცრებანი" 16.20 სათავეებთან "იაკობ გოგებაშვილი" 17.15 სიბრძნისმეტყველება 17.25 დ/ფ "მოქვი" 17.45 აქტუალური თემა "თამბაქო" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 სჯანი 19.50 ღია აუდიტორია 20.30 კვირიაკის სიუჟეტი 20.40 ძილი ნებისა "წუნა და წრუწუნა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00 სერ. "**უშენოდ ვერ ვსუნთქავ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ცოდვილი სისხლი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


5 აპრილისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3157

ევრო — 2.6413

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3115

100 რუსული რუბლი — 3.4211




ამინდის პროგნოზი 5 აპრილისთვის

# 4 აპრილიდან




## „ახალ თაობასთან“ ერთად

თომას მანი

## ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

# 5 აპრილიდან



## პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

წიგნში შესულია საქართველოს მთავარი პროკურატურის არქივში არსებული ცხრა ტომიდან ამოკრებილი მასალები (1994-2004 წწ.), რომლებიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტს ეხება, ასევე დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ ჩატარებული მოსმენა-გამოკითხვები.

გამოკითხვაში ნებაყოფლობით მიიღეს მონაწილეობა როგორც პრეზიდენტის დაცვის წევრებმა, ასევე მაშინდელმა თანამდებობის პირებმა, რომელთა გარემოცვაშიც სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა.

წიგნს ერთვის საინტერესო ფოტომასალა, პირთა და გეოგრაფიული საძიებელი.

## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

## 1 აპრილიდან

### იესო ქრისტეს ნათლისღება

წიგნი შედგენილია არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით



ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

## წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით













25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

## პსჟ ნეიმარში 193 მილიონ ევროს იხდის



ფრანგული პსჟ ბარსელონას სუპერ ვარსკვლავს ნეიმარს არ ეშვება და ყველანაირი ხერხით ცდილობს მის ხელში ჩაგდებას.

ამჯერად პსჟ-მ სატრანაფერი თანხა გაზარდა და ბარსელონას ახალი შეთავაზება გაუკეთა, რომლის მიხედვითაც, ფრანგული კლუბი მზად არის ნეიმარის ტრანსფერში 193 მილიონი გადაიხადოს.

გარდა ამისა, პსჟ ნეიმარს წელიწადში 20 მილიონ ევროს ჰპირდება ანაზღაურების სახით.

ჯერჯერობით ბარსელონა უარზეა და კატალონიურ გუნდში ამბობენ, რომ ნეიმარი არ იყიდება.

თვითონ ფეხბურთელი კომენტარს არ აკეთებს, თუმცა ნეიმარს არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ ბარსელონაში ის ძალიან ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს.

## ლაციოს მთავარი მწვრთნელი სიმონე ინძაგი გახდა



რომის ლაციომ მთავარი მწვრთნელი სტეფანო პიოლი დაითხოვა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ლაციო რომასთან განადგურდა ანგარიშით 1:4.

პიოლის პოზიციები ისედაც შერყეული ჰქონდა და რომასთან მარცხი ლაციოს ხელმძღვანელობისთვის უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა.

ლაციოს ახალი თავკაცი ლეგენდარული ფილიპო ინძაგის ძმა, სიმონე ინძაგი იქნება, რომელიც დიდი ხნის მანძილზე იცავდა ლაციოს ღირსებას.

ფილიპო ინძაგი სამწვრთნელო საქმიანობაში ჯერჯერობით არცთუ წარმატებულია. საინტერესოა, მისი ძმა როგორ წარმოაჩენს თავს ამ სფეროში.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა



## კალეიდოსკოპი

## საიუბილეო ბრიტანული მონეტა ვარდებით დაამშვენეს



დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს 90 წლისთავთან დაკავშირებით სამეფო მონეტარულმა სახლმა საიუბილეო 5 ფუნტიანი მონეტა გამოუშვა, რომელიც ვარდებითაა დამშვენებული.

მის დიზაინზე ცნობილი მხატვარი და მოქანდაკე კრისტოფერ ჰობსი მუშაობდა. ამ საქმეში მის აღმაფრენად იქცა ჰერალდიკური ვარდები და დედოფლის გატაცება ყვავილებით.

მონეტის ცენტრში მოთავსებულია მონოგრამა EIIR, რომლის გარშემო ვარდების თაიგულია განთავსებული.

— შევეცადე, რომ ვარდები უფრო მეტად ბუნებრივი გამოსულიყო, ვიდრე ჰერალდიკურია, ყოველი მათგანი ერთმანეთისგან განსხვავებულია, — განაცხადა მხატვარმა. სამეფო მონეტარული სახლი, საიუბილეო 5 ფუნტიან მონეტებს საჩუქრად დაურიგებს იმ პენსიონერებს, რომლებსაც 90 წელი დედოფლის დაბადების დღეს, 21 აპრილს შეუსრულდებათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



## იუმორი

სახანძროში ტელეფონი რეკავს:

— ალო.

— დიახ.

— სახანძროა?

— დიახ, გისმენთ.

— რომ წამოხვალთ, ტყემალი წამოიღეთ.

— ტყემალი რა შუაშია?

— შეიწვა ხალხი, თქვე შობელძაღლებო!

●●●

სახლში დაბრუნებული ქმარი ტანსაცმელს იცვლის. ცოლი შეხედავს და ეკითხება:

— ძვირფასო, ზურგი ასე ვინ დაგიკაწრა?

წამოწითლებული ქმარი პასუხობს:

— წარმოგიდგენია, ქუჩაში, რომ მივდიოდი, უცბად აივნიდან კატა ჩამოვარდა და პირდაპირ ზურგზე დამახტა... არ გჯერა?

— რა თქმა უნდა, მჯერა! ქვემოთ ხომ პომადით აწერია: „ეს მე ვარ, შენი ფისუნია“...

●●●

ჩრდილში წამოწოლილი კაცი ხედავს, რომ მამალი დედალს ჩინჩლავს. ამ დროს ცოლი გამოვა და ქათმებს საკენკს დაუყრის. მამალი დედალს მიატოვებს და საკენკისკენ გაიქცევა.

კაცი ხელებს მაღლა აღაპყრობს და დაიძახებს:

— ღმერთო, ეგრე არ მომაშივო, რაა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 2. დარბაზის ფეხბურთი; 3. უფროს მეთაურთა სამხედრო ჩინი; 4. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 5. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 6. უძველესი აკადემია კახეთში; 8. ინდიელთა გრძელი ვიწრო ნავი; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 14. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. გორგოლაჭიანი ტრანსპორტიორი; 16. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 17. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 19. ფრანგული სიგარეტი; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ირანის ნავსადგური; 22. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 1. გოეთეს ტრაგედია; 5. შოტლანდიური ნაგაზი; 7. უკრაინული ხალხური ცეკვა; 9. გულის არტერიის დაავადება; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. სამცხის მმართველთა ტიტული; 13. ცირკის მასხარა, კლოუნი; 16. ქვეყნის ერთგული, თავდადებული ადამიანი; 17. უბანი თბილისში; 18. ღვინის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 20. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 22. ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 23. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 24. ულელტეხილის ქართული სახელწოდება; 25. შავი ფისი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

